პროლეტარიელო, ყველა ქვეყნისა, შეერწყმეთ!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ORGAN CENTRALNOGO i TBILISSKOGO KOMITETOV KP (b) GRUZII i SOVETOS DEPUTATOV TRUDJAŠČIHSJA GRUZINSKOJ SSR

გამოდის 1918-ე წელი

პარასკევი, 24 ივნისი, 1949 წ. № 124 (8427). ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთში:

მოსავლის აღებისათვის მზადყოფნის შემოწმება — „პრავდის“ მოწინავე (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).
ბ. ბახტურიძე — შენიშვნები ქუთაისის თეატრის შესახებ (მე-2 გვერდი).
სამგორის სახალხო მეცნიერების ბლბა (მე-2 გვერდი).
რას მოითხოვენ მარგანეცის ქალაქის მოქალაქეები (მე-3 გვერდი).
ბ. ფატიანი — ძუძუ რიგვავა (მე-3 გვერდი).
პრემიები ხე-ტყის დამზადების გეგმების ფარგლებით შესრულებისათვის (მე-3 გვერდი).
კრიტიკა და ბიბლიოგრაფია (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

# მოსავლის აღებისათვის მზადყოფნის შემოწმება

შეა აზიისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებში დაიწყო საშემოდგომო პურეულის მკა. ადგილ ცოტა დრო გაივლის, და მოსავლის აღებას სამუშაოები განაღდება ჩვენი სამშობლოს ფართო სივრცეებზე. საკოლმეურნეო სოფლები დგებიან ყველაზე პასუხსაგები პერიოდი მინდერის სამუშაოებისა, რომელთა დამთავრებაზეც დამოკიდებული იქნება სასოფლო-სამეურნეო წლის საბოლოო შედეგები.

მოსავლის აღების ახლანდელი კამპანია საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა შორის ფართოდ ეწოდება საწარმოო და პოლიტიკური ალმავლობის ვითარებაში ჩადგება. მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დაზღვევის შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების კოლეურნეებს შეხვედრენ როგორც მოქმედების სახრალო პროგრამას, მიმართულს სამეთოა სახელმწიფოს ძალიერების შემდგომი განმტკიცებისა და ჩვენი ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისაკენ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებასთან დაკავშირებით ამეამად დიდ ორგანიზაციულ მუშაობას ეწევიან ადგილობრივი პარტიული ორგანოები, რომლებიც მოწოდებული არიან სათავეში ჩაუდგნენ სოციალისტურ შეჯიბრებას მოსავლის აღებისა და პურის დამზადების წარმატებისათვის. ბევრან უკვე შედგა მექანიზატორთა რაიონული და საოლქო თათბირები, რომლებმაც განაზოგადეს მოსავლის კომბაინით აღების ოსტატთა გამოცდილება და დასახეს გზები ამ გამოცდილების ფართოდ გავრცელებისათვის კომბაინერთა შორის. უკრაინისა და უუბანის მოწინავე მანქანა-ტრაქტორთა ადგილებიანთ კომუნისტთა ინიციატივით მექანიზატორებს შორის ჩადგება შეჯიბრება მოსავლის აღების სამუშაოთა სანიმუშოდ ჩატარებისათვის.

ჩვენი კვეყნის მარცვლეულის რაიონებში, რომლებიც მძლავრი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით არიან აღჭურვილნი, მოსავლის აღებაში პირველხარისხოვანი როლი ეკუთვნით მექანიზატორთა კადრებს — სოციალისტური მიწოდმოქმედების მოწინავე რაზმს. კომბაინერთა, ბემტურავლეთა, ტრაქტორისტთა ოსტატობასა და კვალიფიკაციაზე გადამწყვეტად იქნება დამოკიდებული მოსავლის აღების კამპანიის წარმატება.

ამიტომ სწორად იქეცვინ ის პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც თავიანთ პირველ სიტყვას მიმართავენ ტექნიკას დაუფლებული კადრებისადმი, ეხმარებიან მათ მინდვრად გასვლისათვის სანიმუშოდ მოამზადებაში. ამ დღეებში მოელი მათი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა წარმოებს მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობებში სახელოსნოებში და კარმიდამებზე, საკოლმეურნეო ბრიგადებში, სადაც მზადდება ბალელი შეტეკვა მოსავლის აღების წარმატებისათვის ჩატარებისათვის.

კადრების მომზადება და განაწილება, ბრიგადებსა და ოგზოებში ბრძოლის სწორად მოწყობაში მათთვის დამპარაბის გაწევა, გამომუშავებინ ნორმების გადაკარბებით შესრულებისა და მოსავლის აღების საუკეთესო ხარისხისათვის მათ შორის შეჯიბრების განაღდება—ეს, შეიძლება თქვას, ყველაზე მთავარია, რაც ამეამად კოლეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების პარტიულ ორგანიზაციებს მოეთხოვებიან. და, ისევე როგორც ყველა საქმეში, კომუნისტების პირადი მაგალითი ფანატიზმისა ნებელი უნდა იყოს, შემოქმედებითი, სიმტკიცითა და ნოვატორობით უნდა იყოს გამსჭვალული. ახეთი მაგალითი აღფრთოვანებს კოლმეურნეებს, მოეწოდებს მათ ახალი შემოქმედებითი გამარჯვებებისაკენ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს სეროიზული ბრალი მიუძღვით მოსავლის აღების სამუშაოთა მოეუწესრიგებლობაში, რაც ჯერ კიდევ ზმრად არის ხოლმე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე. მაგალითად, მარშის მთელ რიგ მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში განაღდებული მკის დროს ცდებოდნენ ტრაქტორები, კომბაინები და მოსავლის ასაღები სხვა მანქანები, არ სრულდებოდა გამომუშავების დღიური ნორმები. ამის შედეგად მოსავლის აღების სამუშაოები ჭიანურდებოდა და ადგილი ჰქონდა მარცვლეულის დანაკარგებს. ეს იმიტომ მოხდა, რომ სათანადოდ არ ყოფილა შემოწმებული მოსავლის აღებისათვის მზადყოფნა, დროზე არ ყოფილა მიღებული ზომები არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ჩატარების შესახებ თავიანთ დადგენილებაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ადგილობრივ ხელმძღვანელებს მოუთითეს ამ სერიოზულ ნაკლოვანებებზე.

„ასეთ ნაკლოვანებათა თავიდან აცილების, მოსავლის აღებისათვის მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დროულად მომზადების უზრუნველყოფის მიზნით, — ნათქვამია დადგენილებაში, — დაევალოს ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს მოსავლის აღების სამუშაოთა დაწყებამდე 20 დღით ადრე მაინც მოაწყონ შემოწმება, თუ რამდენად მზად არის თვითეული მტს-ი, თვითეული საბჭოთა მეურნეობა 1949 წლის მოსავლის აღებისათვის“.

მთავრობამ და პარტიამ მოგვცეს ზუსტი მითითებანი, თუ რა მაჩვენებლებით უნდა წარმოებდეს მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მზადყოფნის შემოწმება. მათი შესრულება ნიშნავს პირობების შექმნას ყველა რგოლისა და უუნის წარმატებითი მუშაობისათვის, დაწყებული მკით და დამთავრებული პურის ჩაბარებით დამამზადებელ პუნქტში. რაიონულ ორგანიზაციებს ამასთან დაკავშირებით დიდი მუშაობა მოელით. კომისიების შემადგენლობაში შერჩეულ უნდა იქნან მეცოდნე, ავტორიტეტიანი ადამიანები, ვინაიდან მათ პასუხსაგები საქმე ეკისრებთ. შემმოწმებელმა კომისიებმა არა მარტო შეფასება უნდა მისცენ და ნაკლოვანებანი გამოაშკარაონ, არამედ კოდევაც ურჩიონ მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს როგორ აღმოფხვრან ეს ნაკლოვანებანი უფრო სწრაფად და უკეთესად.

ზოგ ადგილას მოსავლის აღების სამუშაოები წვიმიანი ამინდის პერიოდს ემთხვევა. მაშასადამე, საჭიროა წინასწარ იქნას გათვალისწინებული ეს თავისებურებანი — ალიოს დახურული კალოები, ფარდულები, მარცვლეულშრობები, კომბაინებისათვის მომზადდეს მოწუოლილი ტენიანი და ჩაწოლილი პური ასაღებად. ეს პირველ რიგში ეხება ცენტრალურ და აღმოსავლეთ რაიონებს, სადაც განაღდებული მკის დროს ხშირად არის ხოლმე წვიმიანი დღეები. აქ მარცვლეულშრობი მეურნეობის მშენებლობა მოსავლის აღებისა და პურის დამზადებისათვის მზადების განუყოფელი შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს. საქმის კარგი ორგანიზაცია გუნდსხმობს ისეთ წესს, რომლის დროსაც პური ყოველდღე ამინდში შეუფიქრებელად მიდის დამამზადებელ პუნქტებში.

მაგრამ არის ახალი მოსავლის არადამაკმაყოფილებელად შეზიდერის ფაქტები. დღეს „პრავდა“ იუწუებს, თუ როგორ ეწმენდნენ პურის აღებისათვის ალტაის მხარის მანქანა-ტრაქტორთა სადგურები. ალტაის მთელ რიგ მტს-ებში კომბაინების რემონტი წარმოიეს ჩამორჩენილი წესით, თვითეული კომბაინერი მარტოხელა ხელისანაფით თავიდან ბოლომდე მუშაობს თავისი მანქანის რემონტზე. რემონტის პროგრესული სახრიგადო-საკვანძო მეთოდი ჯერ კიდევ არ გამხდარა მხარის ყველა მექანიზატორის კუთვნილებად. ეს დიდი ნაკლია საბჭოური ორგანიზაციების მხრივ მოსავლის აღებისათვის მზადების ხელმძღვანელობაში.

ასეთივე ფაქტები აღნიშნულია ნოვოსიბირსკის ოლქის ზოგიერთ მტს-შიც. მთავარი, რაც შეშფოთებას იწვევს, — ეს არის რემონტის დაბალი ხარისხი. პირველმავე შემოწმებამ ცხადყო, რომ ნოვოსიბირსკის ოლქის კოჩენევის, კოზლოფსკის, ტრეზის, სპასსკის და მთელ რიგ სხვა მტს-ებში მოსავლის ასაღები მანქანები სახელდებლივ არის შეკეთებული და სახელოსნოებიდან მრავალი დეფექტიო არის გამოშვებული.

რატომ გახდა შესაძლებელი ასეთი შემთხვევები ალტაიზე და ნოვოსიბირსკის ოლქში? ამიტომ, რომ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს მხედველობიდან გამორჩათ მთავარი რგოლი — ადამიანები, მექანიზატორთა კადრები, რომლებიც წყვეტენ მოსავლის აღების კამპანიის მომზადებისა და ჩატარების წარმატებას. ბევრ პარტიულ ორგანიზაციებს არ დაეძინა ზებით კომბაინერების კუსტარობა რემონტის დროს! პარტიული ორგანიზაციები, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ვალდებული არიან ყოველდღიურად გასწინონ მექანიზატორთა შრომის მოწონება მეთოდების პროპაგანდა, იბრძოლონ მაღალი კულტურისათვის ტექნიკის გამოყენებაში.

პურეულის მასობრივი მკის დაწყებამდე ცოტა დრო დარჩა. მკამდე დარჩენილ დღეებში კოლმეურნეობებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში მუშაობა ისე უნდა იქნას ალეფული, რომ ყველა ხელადვე თვითეული ადამიანის შრომას. განსაკუთრებით ფხიზელი ყურადღება უნდა მიექცეთ ჩამორჩენილ კოლმეურნეობებსა და მტს-ებს, რომლებიც თავიანთ შესაძლებლობებს არ იყენებენ მოსავლის ასაღებად მომზადების უსწრაფესად დამთავრებისათვის.

მოსავლის აღების კამპანია საკოლმეურნეო სოფლის მთელი ძალებისა და საშუალებების ძაძაბვას მოითხოვს. ამ ძალებისა და საშუალებების სანიმალო მზადყოფნაში მოყვანა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების გადაუდებელი ამოცანაა.

„პრავდის“ 23-ვ მოწინავე

# ბრძანებულება

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 24 აპრილისა და 2 ივნისის ბრძანებულებათა შესაბამისად **სიმონდიის, შაქრის ჭარხლის, ბამბისა და თამბაქოს** უხვი მოსავლის მოღებისათვის, როცა კოლმეურნეობებმა შეასრულეს ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საკალდებულო ჩაბარება და კონტრაქტაცია, ნატურა-ანაზღაურება მტს-ების 1948 წლის მუშაობისათვის და მთლიანად უზრუნველყვეს 1949 წლის საგაზაფხულო თესვა ყველა კულტურის თესლით,

**დაჯილდოებულ იქნნ:**

**ლენინის ორდენით:**

1. **გოგუაძე** სულეიმან ოსმანის-ძე — ქედის რაიონის ახდრეევის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 20,1 ცენტნერი „ტრაპეზონის“ ჯიშის თამბაქო;

2. **გრიგორიევი** სიმონ სიმონის-ძე — ოჩამჩირის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი, რომელმაც მოსსნურე კოლმეურნეობებში 300 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 75,5 ცენტნერი სიმინდი.

3. **კესიანი** არდავაზტ ხაჩიკის-ძე — ოჩამჩირის რაიონის ედანოვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 9 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 15,5 ცენტნერი № 27 „სამსუნის“ ჯიშის თამბაქო.

4. **კონცელიძე** ჰერმინ მამედის ასული — ქედის რაიონის კოლმეურნეობა „საერთო შრომის“ მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 20,5 ცენტნერი „ტრაპეზონის“ ჯიშის თამბაქო.

5. **ნინიძე** შუქრი კარუნის-ძე — ქედის რაიონის სტურუას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 16,5 ცენტნერი „სამსუნის“ ჯიშის თამბაქო.

6. **ოგანეზოვი** ირგილ მიკტირის-ძე — ოჩამჩირის მტს-ის უბნის მექანიკოსი, რომელმაც მომსახურე კოლმეურნეობებში 300 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 75,5 ცენტნერი სიმინდი.

7. **პარციანი** კარაპეტ გრიგოლის-ძე — ოჩამჩირის რაიონის ედანოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელმაც 21 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 14,9 ცენტნერი № 27 „სამსუნის“ ჯიშის თამბაქო.

8. **საკიანი** ედგარდ ავედისის-ძე — ოჩამჩირის რაიონის ედანოვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 14,3 ცენტნერი № 27 „სამსუნის“ ჯიშის თამბაქო.

9. **შაკაია** ხარიტონ ზოსიმეს-ძე — ოჩამჩირის მტს-ის უბნის აგრონომი, რომელმაც მომსახურე კოლეურნეობებში 300 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 75,5 ცენტნერი სიმინდი.

**შრომის წითელი დროშის ორდენით**

1. **ბერიძე** სულეიმან მამედის-ძე — ქედის რაიონის III ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 18,1 ცენტნერი „სამსუნის“ ჯიშის თამბაქო.

2. **ვასაძე** რამიზ ჰუსეინის-ძე — ქედის რაიონის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 0,3 ჰექტარ ფართობზე „ტრაპეზონის“ ჯიშის თამბაქო ჰექტარზე 25 ცენტნერის ანგარიშით და 2,7 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 19,1 ცენტნერი „სამსუნის“ ჯიშის თამბაქო.

3. **გოგიტიძე** მემედ დურსუნის-ძე — ქედის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის დროშის“ მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 14,1 ცენტნერი „სამსუნის“ ჯიშის თამბაქო.

4. **კეკელიძე** შევაკეი რიზალის-ძე — ქედის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი დროშის“ მერგოლური, რომელმაც 1,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 20 ცენტნერი „ტრაპეზონის“ ჯიშის თამბაქო და 1,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე—15,6 ცენტნერი „სამსუნის“ ჯიშის თამბაქო.

5. **მახარაძე** ფადიმე ახმედის ასული ქედის რაიონის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 0,3 ჰექტარ ფართობზე „ტრაპეზონის“ ჯიშის თამბაქო ჰექტარზე 25 ცენტნერის ანგარიშით და 2,7 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 19,1 ცენტნერი „სამსუნის“ ჯიშის თამბაქო.

6. **ფუმბაძე** ალი ალის ასული — ქედის რაიონის ვიშნესკის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

7. **გიგილაშვილი** კეკე ბატონას ასული — კასპის რაიონის კოლმეურნეობა „ჩრომის სხივის“ წევრი.

8. **ჯონაშვილი** ეფემია ალექსის ასული — კასპის რაიონის კოლმეურნეობა „ჩრომის სხივის“ მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 463 ცენტნერი შაქრის ჭარხალი.

**მედლით „შრომითი მამაცობისათვის“**

1. **აბრამიძე** ანიკო ნიკოლოზის ასული — კასპის რაიონის კოლმეურნეობა „ჩრომის სხივის“ წევრი.

2. **ანანიძე** სულეიმან შერიფის-ძე — ქედის რაიონის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

3. **ბაღაშვილი** ქრისტეფორე ალექსანდრეს-ძე — მცხეთის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

4. **ბოლქვაძე** ასმიმე ჰუსეინის-ძე — ქედის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის დროშის“ წევრი.

5. **ბოლქვაძე** ხენიფე მეევლუდის ასული — ქედის რაიონის III ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

6. **ვასაძე** ფატკუმე ოსმანის ასული—ქედის რაიონის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

7. **გიგილაშვილი** კეკე ბატონას ასული — კასპის რაიონის კოლმეურნეობა „ჩრომის სხივის“ წევრი.

8. **ჯალილოვი** აბას ყული გეიდარ ოღლი — მარნეულის რაიონის 17 ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

9. **დიასამიძე** იზმიაან სულეიმანის ასული — ქედის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

10. **ფუმბაძე** ალმე ალის ასული — ქედის რაიონის ვიშნესკის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

11. **კეკელიძე** ნენიე მეევლუდის ასული — ქედის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი დროშის“ წევრი.

12. **კოდოლოვა** ანიკო აბრამის ასული — კასპის რაიონის კოლმეურნეობა „ჩრომის სხივის“ წევრი.

13. **კონცელიძე** ხაჯარ შირინალის ასული — ქედის რაიონის კოლმეურნეობა „საერთო შრომის“ წევრი.

14. **კონცელიძე** ფადიმე დურსუნის ასული — ქედის რაიონის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

15. **ლომშარაძე** მართა სიმონის ასული — მცხეთის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

16. **მამუჩაძე** მერიემ ახმედის ასული — ქედის რაიონის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

17. **მამუჩაძე** მერიემ სულეიმანის ასული — ქედის რაიონის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

18. **ნაკაბიძე** უმიან მემედის ასული—ქედის რაიონის III ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

19. **ნანიბაშვილი** მაკამეტ ყიზი — მარნეულის რაიონის 17 ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

20. **სირაბიძე** ემინე ხულუსის ასული — ქედის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი დროშის“ წევრი.

21. **ფატალიევა** კულშან კაზიმ ყიზი—მარნეულის რაიონის 17 ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

22. **ჭონიაშვილი** თამარ სოლომონის ასული — კასპის რაიონის კოლმეურნეობა „ჩრომის სხივის“ წევრი.

**მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“**

1. **ბერიძე** აიმე მუსას ასული — ქედის რაიონის საქმაოვნის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

2. **გოგუაძე** სულთან მემედის ასული — ქედის რაიონის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

3. **იმერლიშვილი** ნინო მიხეილის ასული — მცხეთის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

4. **ლაზარიშვილი** ქრისტეფორე ალექსანდრეს-ძე — მცხეთის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

5. **მამედოვა** სავატ იმირ ყიზი—მარნეულის რაიონის 17 ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

6. **მახარაძე** ფატკუმე შუქრის ასული — ქედის რაიონის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

7. **როსტაშვილი** ესტატე ეფრემის-ძე — მცხეთის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

8. **წულუკიძე** ვასილე ლორახის ასული — ქედის რაიონის საქნაოვნის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

9. **ჭავჭავაძე** ივანე იოსების-ძე — მცხეთის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1949 წლის 18 ივნისი.

# პრემიები პირუყვის ახალი ჯიშის გამოყვანისათვის

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაარეგულირა იაროსლავლის ოლქის 47 სპეციალისტი და საკოლმეურნეო მეცხოველე, რომლებმაც გამოიყვანეს ღორის ახალი მაღალპროდუქტიული ჯიში ეგრეთწოდებული „ბრეიტოვეული“.

ბრეიტოვის სახელმწიფო ჯიშსაშენის დირექტორს ვ. მ. ფედორინოვს და უფროს სელექციონერს გ. ფ. მახონინს მიეკუთვნათ ფულადი პრემია ათასი ათასი მანეთი. ოერორი ათასი მანეთი პრემია მიიღეს ბრეიტოვის რაიონის მ. გორკის სახელობის კოლმეურნეობის მეღორეობის საყიშე ფერმის გამგემ ე. ი. სმირნოვამ და უბნის ზოოტექნიკოსმა ვ. ფ. კინაზევმა. (საკდესი).

# საბჭოთა პარაშუტისტების შესანიშნავი ჯგუფური გადმოხტომა სიმაღლიდან

22 ივნისს შედგა საბჭოთა პარაშუტისტების — ვ. ვ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის სპორტსმენების შესანიშნავი ღამის ჯგუფური გადმოხტომა სიმაღლიდან.

ეი როგორ მოხდა ეს. ერთ-ერთ აეროდრომზე მთავრდებოდა უკანასკნელი მზადება ბრძენისათვის. თვითმფრინავის ეკიპაჟი ელოდა ჯადევ ამინდებად მანქანის მატერიალურ ნაწილს, ხელსაწყოებს. თვითმფრინავზე ადგილები დიკავეს სსრ კავშირის სპორტშეტო სპორტის ოსტატმა, განთვმეტლმა მფრინავმა ბ. პოლოსუხინმა, სსრ კავშირის სპორტშეტო სპორტის ოსტატებმა ვ. კრიეოვმ, ვ. ფოროსეევმა, კ. ერმინევმა, ე. ელადინსკიანმ, სპორტშეტო სპორტის ინსტრუქტორებმა ნ. კორობოვმ, ვ. ივანოვმ.

აღნიშნულ ამხანაგთა უმტკიცობის სპორტშეტო სპორტის საკავშირო რეკორდები ეკუთვნის, ყველას თავის ანგარიშზე აქვს რამდენიმე ასეული ჯადმოხტომა პარაშუტით. მაგალითად, სპორტის ოსტატმა ბ. პოლოსუხინმა 16 წლის განმავლობაში მოახდინა 655 ჯადმოხტომა, კ. ერმინევმა — 343, ვ. კრიეოვმ — 428, ნ. კორობოვმა — 395. რეკორდსმენმა ელენე ელადინორსკიანმ მოახდინა 314 ჯადმოხტომა. ახალგაზრდა, ნიჭიერი პარაშუტისტი ვ. ივანოვი ხუთი წელიწადია, რაც სპორტს მისდევდა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში რეკორდსმენი გახდა. იგი 211-ჯერ გადმოხტა პარაშუტით.

თვითმფრინავზე ადგილები დიკავეს აგრეთვე სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკმა ეფიმმა ე. ბეშკოვმა, პარაშუტისტთა ჯგუფის მფრთველმა გ. ოკალიმ. დაამაგრეს ეინაბდის ხელსაწყოები. სპორტის კომისარმა ს. მეშენკომ დაალოცვინა თვითმფრინავზე დადგმული ხელსაწყოები და პარაშუტისტთა მართველები.

21 ივნისს 23 საათსა და 45 წუთზე ზოსკოვის დროით სამაგრო ხომალდი, რომელიც მფრინავებს ბ. პეტროგელოვსა და ა. ტუპასკევს, მიაყავდათ, მწყობრად მიწყდა მიწას და სიმაღლეზე წავიდა. ძალა ასკეთად შეეფიქრებოდა მუშაობდა ორმხრივი რადიოკავშირი. ბორტიდისტმა ს. გუსკომ მიწაზე გადმოსცა ცნობა, რომ გაფრენა წარმატებით მიმდინარეობს, რომ ეკიპაჟი და პარაშუტისტები საუცხოოდ გრძნობენ თავს.

22 ივნისს ღამის 1 საათსა და 20 წუთზე 10.200 მეტრის სიმაღლეზე, 53 გრადუს ენკენილობაში, პარაშუტისტებმა ერთიმეორის მიყოლებით ჯგუფურ გადმოხტომა თვითმფრინავიდან 16-18 წუთის შუალეგ მშვიდობიანად დაეშვნენ მიწაზე.

ღამის პირობებში ჩატარებულ ამ მეტად რთულ ჯგუფურ გადმოხტომას ხელი შეუწყო საუცხოო ამინდმა და თვითმფრინავის შტურმანმა ა. ბელოუსოვ ზუსტად გამოანგარიშებამ, რომელაც უზრუნველყო თვითმფრინავის სწორი ეკონა და პარაშუტისტთა დაშვება დასახულ ადგილას.

ძირდაშვების ადგილზე გაფრენილმა თვითმფრინავებმა პარაშუტისტები აეროდროზე მოიყვანეს. ბელოსამთმა სამედიცინო შემოწმებამ ცხადყო სპორტსმენთა ჯანმრთელობის საუკეთესო მდგომარეობა.

ღამის ჯგუფური გადმოხტომა სიმაღლიდან ახალი საკავშირო რეკორდია, ბრწყინვალე წვლილია საბჭოთა სპორტსმენების და მფრინავების გაბრწყინვალ ოსტატობის.

გაფრენის დროს გამოყენებული ყველა საშუალ ხელსაწყო მოსკოვის ოგზავრები ვ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალურ აეროკლუბში. ამ ხელსაწყოთა ჩვენების საფუძველზე სპეციალური კომისია დაასკვნებს პარაშუტით ამ უმაგალითო გადმოხტომის შედეგებს. (საკდესი).

# სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში

### ი. პ. პავლოვის დაბადების 100 წლისთავი

1949 წლის 29 სექტემბერს სრულდება 100 წელი დიდი რუსი ფიზიოლოგის ივანე პეტრეს-ძე პავლოვის—დამამაესისა და ცხოველთა ფსიქიური (უმაღლესი ნერვული) ფუნქციონირების მატერიალისტური მოძღვრების ფუძემდებელის დაბადებიდან.

22 ივნისს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს ს. ი. ვავილოვის თავმჯდომარეობით შედგა იუბილეს მიმწყობი კომისიის სხდომა.

აკადემიკოს პავლოვის დაბადების 100 წლისთავი ფართოდ იქნება აღნიშნული ჩვენს ქვეყანაში სამეცნიერო სხდომებით, სტატიებით, პოპულარული ლექციებით.

მოსკოვსა და ლენინგრადში შედგება დიდი მეცნიერის იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომები. იუბილეს დღეებში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია შეიტანს მეცნიერებათა აკადემიის ფილიალებსა და ბაზებში ფერეიდანი, რომ ეკონომიკა და პარაშუტისტები საუცხოოდ გრძნობენ თავს.

22 ივნისს ღამის 1 საათსა და 20 წუთზე 10.200 მეტრის სიმაღლეზე, 53 გრადუს ენკენილობაში, პარაშუტისტებმა ერთიმეორის მიყოლებით ჯგუფურ გადმოხტომა თვითმფრინავიდან 16-18 წუთის შუალეგ მშვიდობიანად დაეშვნენ მიწაზე.

ღამის პირობებში ჩატარებულ ამ მეტად რთულ ჯგუფურ გადმოხტომას ხელი შეუწყო საუცხოო ამინდმა და თვითმფრინავის შტურმანმა ა. ბელოუსოვ ზუსტად გამოანგარიშებამ, რომელაც უზრუნველყო თვითმფრინავის სწორი ეკონა და პარაშუტისტთა დაშვება დასახულ ადგილას.

ძირდაშვების ადგილზე გაფრენილმა თვითმფრინავებმა პარაშუტისტები აეროდროზე მოიყვანეს. ბელოსამთმა სამედიცინო შემოწმებამ ცხადყო სპორტსმენთა ჯანმრთელობის საუკეთესო მდგომარეობა.

ღამის ჯგუფური გადმოხტომა სიმაღლიდან ახალი საკავშირო რეკორდია, ბრწყინვალე წვლილია საბჭოთა სპორტსმენების და მფრინავების ბრწყინვალ ოსტატობის.

# ჩაის ფოთლის დამზადება

### (საქართველოს ჩაის ტრესტის 1949 წლის 20 ივნისის ცნობებით)

| რაიონების დასახელება | გეგმის შესრულება პროცენტობით: წლიურისა | ივნისისა მაისის დასაწყისის რაოდენობით |
|---|---|---|
| ბათუმის | 30,3 | 63,4 |
| ქობულეთის | 31,0 | 68,7 |
| **სულ აჭარაში** | **30,8** | **67,5** |
| გალის | 39,2 | 69,5 |
| ოჩამჩირის | 40,3 | 68,0 |
| გულრიფშის | 54,4 | 50,8 |
| სოხუმის | 42,0 | 70,0 |
| გუდაუთის | 43,8 | 67,6 |
| **სულ აფხაზეთში** | **40,2** | **68,5** |
| მახარაძის | 34,3 | 76,2 |
| ჩოხატაურის | 33,9 | 52,1 |
| ლანჩხუთის | 34,0 | 63,2 |
| სამტრედიის | 43,1 | 56,5 |
| წულეკიძის | 43,0 | 51,3 |
| ქუთაისის | 60,9 | 95,9 |
| წყალტუბოს | 38,1 | 48,0 |
| ტყიბულის | 43,2 | 100,8 |
| ცხაკაიას | 38,6 | 59,9 |
| აბაშის | 42,3 | 53,8 |
| გეგეჭკორის | 43,2 | 72,3 |
| ზუგდიდის | 38,7 | 71,1 |
| წალენჯიხის | 36,4 | 60,6 |
| ჩხოროწყუს | 37,1 | 63,9 |
| ხობის | 33,9 | 42,3 |
| ჩხარის | 50,5 | 25,7 |
| ზესტაფონის | 56,5 | 103,3 |
| **სულ სამეგრელოს სსრ** | **36,1** | **69,1** |

ქობულეთისა და ხობის რაიონების ცნობები არასრულია.

# ვ. ი. ლენინის ნაშრომები „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“ აზერბაიჯანულ ენაზე

**ბაკო,** 22 ივნისი. (საკდესი). საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის აზერბაიჯანის ფილიალმა გამოსცა აზერბაიჯანულ ენაზე თარგმნილი ვ. ი. ლენინის ნაშრომები „იმპერიალი

## პარტიული ცხოვრება

# კომკავშირისადმი პარჯიული ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობამ პარტიულ ორგანიზაციებს ამოცანად დაუსახა აამაღლონ კომკავშირის მუშაობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ხარისხი, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კომკავშირის რიგების შემდგომ ზრდას ახალგაზრდობის მოწინავე ნაწილის მიღებით და კომკავშირელთა პოლიტიკური განათლების გაუმჯობესებას.

ყრილობის შემდეგ პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად გაძლიერეს ხელმძღვანელობა და დახმარება კომკავშირისადმი. პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები ხშირად იხილავენ ბიუროს სხდომებზე და პლენუმებზე კომკავშირული მუშაობის ცალკეულ საკითხებს.

პარტიის მახარაძის რაიკომმა ბიუროს სხდომებზე მარტსა და აპრილში განიხილა რაიონის კომკავშირულ ორგანიზაციებში პოლიტიკური სწავლებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საკითხი. გარდა ამისა რაიკომის ბიურომ განიხილა პოლიტიკური სწავლების მდგომარეობა ოთხ საკოლმეურნეო და ორი საშუალო სკოლის პირველადას კომკავშირულ ორგანიზაციებში. ამ საკითხებზე რაიკომმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილებანი. დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი, თუ რა დახმარება უნდა გაწიოდა კომკავშირულ ორგანიზაციებს პარტიის რაიკომის განყოფილებებისა და შესაბამისი პირველადი პარტიული ორგანიზაციების მხრივ. პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესებამ ხელი შეუწყო რაიონში კომკავშირული ორგანიზაციების ზრდას: მიმდინარე წლის პირველ ოთხ თვეში იგი 345 კაცით გაიზარდა.

პარტიის ხაშურის რაიკომის პლენუმმა მაისის დამდეგს სპეციალურად განიხილა საკითხი რაიონის კომკავშირის ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შესახებ. რაიკომის ბიურომ მოისმინა პირველადას კომკავშირულ ორგანიზაციებში პოლიტიკური სწავლებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საკითხი და მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

კომკავშირისადმი ხელმძღვანელობის საკითხები განხილულ იქნა პარტიის ჩოხატაურის, ზუგდიდის, სიღნაღის და სხვა რაიკომების ბიუროთა სხდომებზე.

დასახელებულ რაიონებში პარტიულმა ორგანიზაციებმა ხელმძღვანელ შუმაკთა რიცხვიდან გამოაყვეს მომხსენებები ახალგაზრდობისათვის ლექციების ჩასატარებლად, კომკავშირული პოლიტსკოლების პროპაგანდისტებად, პარტკაბინეტში მათთვის აწყობენ სპეციალურ კონსულტაციებს, ახორციელებენ სხვა ღონისძიებებსაც.

პარტიის ყველა რაიკომს ჯერ კიდევ სათანადო დასკვნები არ გამოუტანია ყრილობის გადაწყვეტილებებიდან.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ამას წინათ განხილა ზესტაფონის რაიონში კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საკითხი. აღინიშნა, რომ, თუმცა რაიონულმა პარტიულმა ორგანიზაციამ განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებანი სახელმეფიფიბრივ, სამეურნეო და კულტურულ მუშაობაში ახალგაზრდობის ინტერესების დასაკმაყოფილებლად, მაგრამ ამ საქმეში სერიოზული ნაკლოვანებანიც არის. პარტიის რაიკომი ბიუროს გადაწყვეტილებებს კომკავშირის მუშაობის საკითხებზე ყოველთვის როდი აცნობს ყველა პირველადას პარტორგანიზაციას, ყოველთვის როდი უწევს კონტროლს ამ გადაწყვეტილებათა შესრულებას. პარტიის რაიკომის მუშაკები კომკავშირის რაიკომის ბიუროს სხდომებს იშვიათად ესწრებიან. პოლიტსწავლებაში არაა ჩაბმული ორი ათასამდე კომკავშირელი. ნაკლები ყურადღება ექცევა ახალგაზრდობაში მოწინავე მიჩერინელი მეცნიერების პოპულარიზაციას და კომკავშირელი აქტივის მიერ რუსული ენის შესწავლის საქმეს.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წინადადება მისცა პარტიის ზესტაფონის რაიკომს გადაჭრით გაუმჯობესოს პარტიული ხელმძღვანელობა რაიონის კომკავშირული ორგანიზაციებისადმი.

უკანასკნელ დრამდე არასაკმაოდ ხელმძღვანელობენ კომკავშირის პარტიის თეთრი წყაროს რაიკომი და პირველადი პარტიული ორგანიზაციები. სოკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები საკმაოდ არ ზრუნავენ საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის კომკავშირელების დასაარაზმავად, თავიანთ კრებებზე იშვიათად განიხილავენ კომკავშირის მუშაობის საკითხებს. რაიონში არსებულ 12 კომკავშირულ პოლიტსკოლაში მეცადინეობა ტარდება უხარისხოდ. პოლიტსკოლებს ძირითადად ხელმძღვანელობენ არაკვალიფიციური პროპაგანდისტები, პარტიის რაიკომის პროპაგანდისტა და აგიტაციის განყოფილება კონტროლს არ უწევს მოხსენებებისა და ლექციების ხარისხს, თავის სამუშაო გეგმაში არ ითვალისწინებს კომკავშირში პოლიტსწავლების უკეთ დაყენების საკითხებს.

საბჭოთა პარტიულმა ორგანიზაციებმა მუდმივი ხელმძღვანელობა გაუწიონ კომკავშირულ ორგანიზაციებს პოლიტსკოლებისა და წრეების ქსელის გაფართოებისა და პროპაგანდისტთა კადრების შერჩევის საქმეში, გააძლიერონ კონტროლი და დახმარება მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელი ამხანაგებისადმი, კომკავშირის ხელმძღვანელი მუშაკებისადმი, მისი აქტივისაგან მტკიცედ მოითხოვონ სისტემატური და ბეჯითი მუშაობა საკუთარი იდეოლოგიური დონის ასამაღლებლად.

სკოლა კომკავშირის მუშაობის ცენტრალური უბანია. ჩვენი სკოლის წინაშე დასახულია სწავლების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანა. პარტიული ორგანიზაციის მოვალეობაა ყოველდღიურად დაეხმარონ სასკოლო კომკავშირულ ორგანიზაციებს მოსწავლეთა შორის შეგებული დისციპლინის დანერგვაში, სოციალისტური სახელმეფიფის აქტიურ მშენებელთა აღზრდაში, კომკავშირელებისაგან მოითხოვონ იყვნენ მაგალითის მაჩვენებლები სწავლაში. ბევრი კომკავშირული ორგანიზაცია დღემდე სუსტად მუშაობს სკოლაში. მაგალითად, ადგენენს საშუალო სკოლაში კომკავშირის ორგანიზაცია არ ეხებარება მასწავლებლებს მოსწავლეთა აკადემიური წარმატების ამაღლებისა და შეგნებული დისციპლინის განმტკიცების საქმეში.

კომკავშირს არასაკმაო პრაქტიკულ დახმარებას უწევენ ქიათურის რაიონის საკოლმეურნეო და ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციები.

კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საკითხები პარტიული მუშაობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. საჭიროა უფრო ორმად ჩავფქვიდთ კომკავშირის მუშაობის ყველა უბანს და სწორად წარემართოთ კომკავშირის მთელი საქმიანობა.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თავის მისალმებაში საკავშირო ალკა XI ყრილობისადმი კომკავშირს უდიდესი ამოცანები დაუსახა ახალგაზრდა თაობის კომუნისტური აღზრდისათვის. XI ყრილობამ კომკავშირის შემდგომი მუშაობის ფართო სამოქმედო პროგრამა მიიღო. კომკავშირის მთელი ყურადღება იქთავენ უნდა იყოს მიმართული, რომ განუხრელად განახორციელოს ყრილობის გადაწყვეტილებანი, აღზარდოს უშიშარი, მხნე, ხალისიანი, საკუთარ ძალებში დარწმუნებული, ყოველგვარი სიძნელის დაძლევისათვის მზადმყოფი ახალგაზრდობა, ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და ღირსებისათვის, ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის მებრძოლთა ახალი თაობა. ამ პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტა პარტიის სოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტებისაგან მოითხოვს კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობისა და დახმარების დონის გადაჭრით ამაღლებას.

საქართველოს ბოლშევიკების ნაცადმა ხელმძღვანელმა ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირის XVII ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში თქვა:

„ჩვენ მივალწიეთ იმას, რომ თვითეული პარტიული ხელმძღვანელი, რა პოსტიც უნდა იჭიროს მას, გრძნობდეს პასუხისგებლობას ახალგაზრდობის — ჩვენი მომავლის და იმედის კომუნისტურად აღზრდისათვის“.

ეს მითითება საფუძვლად უნდა დაედოს ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მუშაობას კომკავშირისადმი ხელმძღვანელობისა და დახმარების უკეთესად მოწყობის საქმეში.

**მ. ჭკადუა**

**საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების განყოფილების კომკავშირული ორგანოების სექტორის გამგე**

## ვადამდე შეასრულეს ნახევარი წლის გეგმები

**ჟუთაისი. (საკ. კორ.).** ქალაქის ფაბრიკა-ქარხნებისა და ახალმშენებლობათა საგრძნობმა ნაწილმა ვადამდე გაანღიდა 6 თვის დავალებანი და „გასულ წელთან შედარებით გაცილებით უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვა.

მანქანათმშენებელმა ქარხანამ „მაღაროელმა“, 6 თვის გეგმის გადამეტებით დამოუშვა 5 სამსატო ელმავალი და აითვისა ახალი ტიპის ტრანსპორტიორების წარმოება. ამ უკანასკნელთ სამჯერ მეტი სიმძლავრე აქვთ, ვიდრე აქამდე გამოშვებულ ტრანსპორტიორებს. ივნისის ბოლო რიცხვებში მანქანათმშენებლები მეტი ტნეგრგით მუშაობენ. თვის ბოლომდე ისინი სამშობლოს დამატებით მისცემენ 400 ათასი მანეთის პროდუქციას.

ქალაქის ახალმშენებლობებიდან ყველას უსწრებს შუშის ტარის ქარხნის მშენებლობა, სადაც წლის 3,5 მილიონი მანეთის სამუშაოა შესასრულებელი. ნახევარი წლის გეგმა აქ 103 პროცენტით გაანაღდეს და საექსპლოატაციოდ გადასცეს სამშენებლო-სარემონტო და კერამიკული საამქრები, აგრეთვე 500 კვადრატული მეტრი სანიანო ფარფორი, მიაღწიეს საუკეთესო ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

ასევე დაწინაურდნენ ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებიც, ლიმონათის ქარხანამ და ავეჯის წარმოებამ ნახევარი წლის გეგმებს 10-15 პროცენტით გადაამეტეს.

• • •

**ჭიათურა. (საკ. კორ.).** ორჯონიკიძის სახელობის მაღარომ 20 ივნისისათვის გადაჭარბებით შესრულა მარგანეცის ამოღების ნახევარი წლის გეგმა. საწარმოო დავალებათა შესრულებამ განსაკუთრებით დაწინაურდნენ ამხ. კენკოშვილისა და გაფრინდაშვილის უბნები.

მაღაროს კოლექტივი ივნისის ბოლომდე წლის მეორე ნახევრის ინგარიშში ამოღებას რამდენიმე ათას ტონა მარგანეცს.

• • •

**ხაშური. (საკ. კორ.).** საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს სურამის კირის ქარხნის კოლექტივმა ვადაზე ოცი დღით ადრე — 10 ივნისისათვის გადაჭარბებით შეასრულა ნახევარი წლის დავალება. ხუთ თვეში ზეგეგმითი დაგროვება 120 ათას მანეთს უდრის.

გეგმის შესრულებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი კირქვის მნგრეველებმა ა. ქურდაძემ და ნ. ლომსაძემ.

## ახალი მარნის მშენებლობა

**ამბროლაური. (საკ. კორ.).** უახლოეს ხანში დამთავრდება ახალი მარნის მშენებლობა, რომელიც 60.000-მდე დეკალიტრ ღვინოს დიატევს. მარანი ორსართულიანი იქნება, ზედა სართულში მოთავსდება ღვინის გადამშუშავებელი განყოფილება, ალმოროტორია და კანტორა, ქვედა სართული გამოყენებული იქნება ღვინის შესანახავად.

მშენებლობაზე 2.500.000 მანეთი დაიხარჯება.

მარანი შენდება თეთრი თლილი ქვისაგან და აქვს კეთილმოწყობილი ეზო.

ხაშურელი კოლმეურნე მშენებლები სამგორის არხის ტრასაზე.
ფოტო ვ. გიხაბურგისა.

## სამგორის სახალხო მშენებლობა

### ხაშურლების უბანზე

მომავალ „თბილისის ზღვაში“ ივრის წყალი გვირაბით ჩავა. გვირაბი პატარა იქნება და იმ ბორცეს გადაღმა, რომელსაც ეს გვირაბი სჭრის, ივრის წყალი ისევ ღია არხით ივლის. ახლა ამ მიდამოებში ორი არხი გაჰყავთ. ერთი არხი ზემო სამგორის მაგისტრალია, ხოლო მეორე ქვემო სამგორის მაგისტრალი. ამ უკანასკნელის გასაყვანად გამოყენებულია მძლავრი თანამედროვე ტექნიკა — ექსკავატორები, ბულდოზერები, გრეიდერები და სკრეპერები, რომელნიც მიწას ჭრიან, თან ხვეტავენ და მიეზიდებიან.

სამგორწყალმშენის პირველი უბნის ცენტრი აქაა მოწყობილი. აგებულია საცხოვრებელი სახლები, საწყობები, მაღაზია, სასადილო და სხვ. მშენებლობა ახლაც შეუხელელად მიმდინარეობს.

ამ უბნის მახლობლად მოუხდათ მუშაობა ხაშურის რაიონიდან ჩამოსულ კოლმეურნეებს. 1.100 კაცი ჩამოვიდა ხაშურიდან. მათი ვალდებულება იყო შეესრულებინათ 9.000 კუბმეტრი მიწის სამუშაო. მშენებლების მეთაურობდნენ მშრომელთა დეპუტატების ხაშურის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ს. გელაშვილი, საქართველოს კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის მდივანი გ. ცუცქირიძე, ინეინრები ი. საბანაძე და გ. გრიგალაშვილი.

20 ივნისს დილით შეუდგნენ ხაშურლები მუშაობას იმ ვარაუდით, რომ 23 ივნისს დაემთავრებინათ და დაბრუნებულიყვნენ. ქვეშხეთელმა, ტეზრელმა და გვერდისუბნელმა კოლმეურნე მშენებლებმა წინადადება შეიტანეს: რადგან 1.100 კაცის განლაგება სამუშაო ფრონტზე მუშაზელის სიმჭიდროვეს გამოიწვევდა, ეს კი დააქვეითებდა მოზომის ნაყოფიერებას, შემოეღოთ განუწყვეტელი მუშაობა მორიგეობით. ასეც მოიქცნენ. ერთსა და იმავე ნაკვეთზე არხის გასაყვანად გამოყოფილი ჯგუფი სამ ცვლად იქნა განაწილებული. როცა ორი ნაწილი ამ ჯგუფისა მუშაობდა, მესამე ისვენებდა და ამან დიდად აამაღლა შრომის ნაყოფიერება. ცვლის შორის გაწლილ იქნა სოციალისტური შეჯიბრება.

შეორე დღეს საღამოს, როცა კოლმეურნე მშენებელთა ხელმძღვანელება არკვევდნენ თუ ცვლების მიხედვით რომელ ჯგუფს უნდა მიკუთვნებოდეს პირველობა, მათთას გამოცხადდა საგარეჯოელთა დელეგაცია. საგარეჯოელები ხაშურლებს სოციალისტურ შეჯიბრებაში იწვევდნენ და გამარჯვების პირობად სახავდნენ არხის მაღალხარისხოვნად გაჭრას, რათა შემდგომში მებეტონეებს ბარის ხმარება აღარ დასჭირებოდათ.

მეზობელ საგარეჯოელებთან შეჯიბრებაში გამარჯვების სურვილმა ხაშურლების უბანზე ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. არხის მშენებლობაში დაწინაურდნენ სოფელ დიდი ფლავის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ წევრები (თავმჯდომარე გიორგი ჯელადე), რომლებმაც იკისრეს სამ დღეში დაემთავრებინათ გამოყოფილ ნაკვეთზე მუშაობა და ამოეღოთ 360 კუბმეტრი მიწა. ამ კოლმეურნეობიდან არხის გაყვანაზე მომუშავე ბრიგადებს შორის საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს გიგო ნიბაძის და კომკავშირელ მიხეილ ჯელაძის ბრიგადებმა.

დაწინაურდა აგრეთვე სოფელ ოსიურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობიდან ჩამოსულ მშენებელთა ჯგუფი კოლმეურნეობის თავმჯდომარის ისაკ ტუსიაშვილის ხელმძღვანელობით. განსაკუთრებით ისახელეს თავი კოლმეურნეებმა სიმონ მთიულიშვილმა, ვასო მახარაშვილმა და ვასო გაგლოშვილმა.

არხის მშენებლობაში საუკეთესოდ გამოიჩინეს თავი სოფელ ვეძის 21 ინვრის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ი. ხეთაგური), სოფელ ალის სტალინის სახელობის (თავმჯდომარე დ. გვარამაძე), სოფელ ვაყის ორჯონიკიძის სახელობის (თავმჯდომარე გ. ყოლიჯანავი) და სოფელ გვიდლიუბნის კოლმეურნეობა „წინსვლის“ (თავმჯდომარე ზ. ქურდაძე) წევრებმა.

4 დღის ნაცვლად ხაშურლებმა ზემო სამგორის, მაგისტრალური არხის გასაყვანად ნაკისრი სამუშაო 3 დღეში შეასრულეს.

**დ. ლოგთაძე**

# შენიშვნები ქუთაისის თეატრის შესახებ

საქართველოში მუდმივი პროფესიული თეატრის ჩამოყალიბების წინა პერიოდიდანვე, გასული საუკუნის სამოციან წლებში, ქუთაისსა, როგორც ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანმა კულტურულმა ცენტრმა, უკვე საფუძველი ჩაუყარა თეატრალურ ხელოვნებას.

ქუთაისის თეატრში თავის დროზე უმოღვაწნიათ აკაკი წერეთელს, რაფიელ ერისთავს, ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძეს და ქართული კულტურის ბევრ სხვა თვალსაჩინო მოღვაწეს.

პირველ წლებშივე (1867-1869 წ.) ისე მტკიცედ გაიდგა ფესვი თეატრალურმა შემოქმედებამ ქუთაისში, რომ ქუთაისის სცენისმოყვარეთა წრე თბილისსაც კი ესტუმრა. საგასტროლოდ და უჩვენა მას გიორგი ერისთავის ისტორიული დრამა „ვარაყაური ათაბაგი“. სპექტაკლში მონაწილეობა მიიღია აკაკი წერეთელსაც.

ქუთაისის თეატრის სცენაზე მთელი რიგი წლების მანძილზე მოღვაწეობდნენ თეატრალური ხელოვნების შესანიშნავი ოსტატები ლადო მესხიშვილი, კოტე მესხი, ვასო აბაშიძე, კოტე ყიფიანი, ვალერიან გუნია, ნინო ჩხეიძე, ალექსანდრე ამედაშვილი და სხვები.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ ქუთაისის თეატრში ისტორიულ თარიღად უნდა ჩაითვალოს 1928-1929 წლის სეზონი, როცა საფუძველი ჩაეყარა ახლანდელ კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრს. დიდი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით ორი თეატრალური სეზონის განმავლობაში ქუთაისს სცენაზე ბევრი საინტერესო დადგმა განხორციელდა, რომელთა საგრძნობი ნაწილი დღედაღე შერჩა ქართულ საბჭოთა სცენას.

ბუნებრივია, რომ ასეთი შესანიშნავი თეატრალური ტრადიციების ქალაქში მომუშავე თეატრის წინაშე მეტად რთული ამოცანები დგას გადასაჭრელად. პირველ რიგში თეატრმა უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ თანამედროვე საბჭოთა მაყურებლის მაღალ კულტურული მოთხოვნილება და გემოვნება დაკმაყოფილოს თავისი დადგმებით. ამ მხრივ წარმატების მიღწევა უჩვენველყოფილ უნდა იქნას აქტიურად ამ თემაზე შემმნელი რეპერტუარის შერჩევით, აქტიორული ხელოვნების ამაღლებით, ამასთან უკვე აღზრდილი და სათანადო მხატვრული გამოცდილების მქონე ძალების მიზანშეწონილი გამოყენებით. თეატრი არაა სოლეს! არ უნდა დაკმაყოფილდეს უკვე მიღწეულით. ახლის ძიება, განვლილი ეტაპის მკვეთრად გამოყოფა ზრდის პერსპექტივის მომცემ მოვლენათაგან, შეუნელებელი ზრუნვა ახალი შემოქმედებითი სიმაღლეების დასაპყრობად, კადრების სრულყოფილი იდეოლოგიურ-მხატვრული შეიარაღებისათვის ინტენსიური მეთოდური მუშაობა — აი ის საშუალებანი, რომელთა გამოყენებით თვითეული შემოქმედებითი ორგანიზაცია და, კერძოდ, თეატრი შეძლებს ეპოქის მფთხოვნათა დაკმაყოფილებას.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის თეატრში? ამ თეატრმა, რომელსაც განახლების შემდეგ 1938 წლიდან ხელმძღვანელობს რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. ანთაძე, განვლილი პეროდის მანძილზე ბევრი კარგი დადგმა უჩვენნა მაყურებელს. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ ისტორიულ-რევოლუციური პიესა „ლადო კეცხოველი“, რომლითაც თეატრმა გახსნა თავისი პირველი სეზონი, „გიორგი საკაძე“, „ინჟინერი სერგეევი“, „ყაჩაღები“, „მეფე ლირი“, „ოტელო“, „ეუნინდელები“, „ირმის ხეები“ და სხვ.

თავისი მუშაობის პროცესში თეატრს ჰქონდა ხარვეზებიც, რაც უმთავრესად გამოწვეული იყო მის მიერ შერჩეული რეპერტუარის თემატიკურად ნაკლები აქტუალობით. ზოგჯერ შედარებით სუსტი დადგმებიც ჰქონდა მას. მაგრამ ძირითადად თეატრის შემოქმედებითი ხაზი ჯანსაღი და სწორი იყო.

ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის თეატრი რეჟისორისა და აქტიორთა შემადგენლობის მხრივ ჩამოყალიბების პირველ ხანებში საკმაოდ ძლიერ შემოქმედებითს ორგანიზაციას წარმოადგენდა. უკანასკნელი წლების მანძილზე თეატრის უფროსი თაობის მსახიობთა გვერდით თავი გამოიჩინეს ახალგაზრდა ნიჭიერმა ძალებმა. უფროსი თაობის მსახიობთა შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნონ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ც. ამირეჯიბი, თ. ღენინაშვილი, ა. მურუსიძე, გ. ჩხეიკაძე, შ. ხონელი, კ. აბესაძე.

თეატრის მიერ უკანასკნელად დადგმულ სპექტაკლებში თავისი დაკვირვებული და გულწრფელი თამაშით გამოირჩევა ვარლამ ჩხეიკაძე. იღო მოსაშვილის პიესაში „ჩაძირული ქვები“ მან შესანიშნავი ბეჭედ აღას ოლი. ყოფილი მასწავლებელის, ხალხს მოუჩინახულის, კეთილშობილი პატრიოტის სახე მსახიობმა აღიქვა და ამ მცირისა თვის დამახასიათებელი თვისებებით. ამიტომ მისი ბეჭედ აღა ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს წარმოსახვის ბუნებრივობითა და დამაჯერებლობით. ყურადღებას იმსახურებს ეს მსახიობი აგრეთვე ჩუბინას როლის შესრულებით მ. ჯაფარიძის პიესაში „უკამთბერის ასული“.

ამავე პიესაში გამოცდილი ოსტატის ხელით არის აღბეჭდილი ანერო მურუსიძის მიერ განსახიერებული მეფე იმერეთისა. ამ მსახიობის თამაში ახასიათებს მკაცრი რეალისტური ხერხები და სახის წარმოქნილის ის კეთილშობილური ბანაჯა, რომელიც თავის დროზე დაინერგა ქართულ თეატრში სცენის დიდი ოსტატის ლადო მესხიშვილისა და მის საუკეთესო თანამოკვაშეთა მიერ.

„ჩაძირულ ქვებში“ ერთ-ერთ კოლორიტულ სცენურ სახეს წარმოადგენს აბდულ სადაყის მდივანი მირზა. იგი მორალურად გახრწნილი ადამიანია იმ სულშეხუთვი პოლიტიკური და სოციალური ვითარების შედეგად, რაც გაბატონებულია დღევანდელ თურქეთში. ჯაშუშობა, გამეტლობა, მექრთამეობა, ალიქნელობა, ველური სისასტიკე ოოფლეობთა მიმართ, — ეი რა ზნეობრივი თვისებანი გამოიხეშავა მირზას და მის მსგავს ადამიანთა არსებაში ავრესიული თურქეთის სახელმწიფოებრივმა წყობილებამ და თურქ ხელისუფალთა საშუალისაკუნებრივმა უკეღმრთმა პოლიტიკამ. მირზას როლს ასრულებს კაპიტან აბესაძე, რომელიც ამ ტიპის სახეს, მის შინაგან ბუნებას მკაფიო ფერებით გადმოგვცემს.

ხოჯა სულეიმანის მცირე ეპიზოდური ხასიათის როლში აღსანიშნავია ზაალა ხონელი, რომელიც დამაჯერებლად ახორციელებს ხარი და გონებაჩლუნგი ადამიანის ტიპს.

მშვენიერად ასრულებს ამერიკელი ინჟინრის ჯონ რაიტის როლს მსახიობი მიხეილ სვანიძე.

თეატრში ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშაობას ეწევიან ახალგაზრდა, ნიჭიერი ძალები. მსახიობი მოთა პირველი „ჩაძირულ ქვებში“ ასრულებს ვილაიეთის უფროსის მოადგილის ჯემალ თურქმან-ოღლუს როლს. ამით მას მეტად რთული ამოცანის გადაწყვეტა აქვს დაკისრებული. ჯემალი ქართველია, თავისი ხალხისა და ქვეყნის გულწრფელი პატრიოტი. ამასთან მას ბედმა არგუნა ვილაიეთის უფროსის მოადგილედ მუშაობა, ბრმა იარაღად ყოფნა იმათ ხელში, ვინც ახორციელებს თურქეთის ხელისუფალთა მზაკვრულ პოლიტიკას ამერიკელ იმპერიალისტთა კარნახით და მბარდაკერით. თავისი ღრმა პატრიოტული შეგნებით და მოწოდებით ჯემალი ხალხის საკეთილდღეოდ მუშაობს, გულუბრალოს ინტერესებს იცავს, მაგრამ როგორც თურქეთის ხელისუფალთა მიერ დანიშნული თანამშრომლის პირი, თავისდაუნებურად, ანტიპატრიოტული საქმის მონაწილე ხდება გარკვეული დროის მანძილზე. ნიჭიერმა მსახიობმა მოთა პირველმა მშვენიერად შეძლო გადმოეცა მის მიერ განსახიერებული გმირის სულიერი გრადიციები.

ჯემალის სიყრმის მეგობრის, მეზღაურეურ შუქრი ჯაფარ-ოღლუს კეთილშობილურ ვაჟკაცურ ბუნებას და მაღალ პატრიოტულ გრძნობას დამაჯერებლად ასახიერებს ვახტანგ მეგრელიშვილი. ეს მსახიობი ბევრი კარგი სასცენო ღირსებით არის შემკული. მხოლოდ საჭიროა სისტემატური მუშაობა საკუთარ თავზე, ამ ღირსებების მიზანშეწონილად გამოყენება აქტიორული ოსტატობის შემდგომი ამაღლების მიზნით. წინაადგდგ შემთხვევაში მსახიობი მუდამ იდგომება განმეორებითა საფრთხის წინაშე და წარმომსაფელი საშუალებანი შტამპად გადაქცევა.

მიტყვეელის სახიფათო და რთული გზა აურჩევია მსახიობ გრიგოლ ნაცვლიშვილს ამდულ-სადაყის როლის განსახორციელებლად. მას მომარჯვებული აქვს თურქული აქცენტი. იყო საშიშროება, რომ მსახიობი ბოლომდე ვერ შეინარჩენდება ამ კილოს, ან კიდევ თავიდანვე მიგნებულ ინტონაციას დაარღვევდა, მაგრამ ნაცვლიშვილმა შეძლო ამ სიძნელის გადალახვა. სხვა მხრივაც კარგ სცენიურ სახედ შეიძლება ჩაითვალოს მის მიერ შესრულებული თურქი მოხელის ეს როლი.

თეატრის ერთ-ერთ უკანასკნელ პრემიერას წარმოადგენს რუსპუბლიკურ კონკურსში პრემირებული პიესა ახალ გაზრდა დრამატურგ გივი გოგიჩაიშვილისა — „ნენი ქეფენის ახალგაზრდობა“. სარეცენზიო პიესა დამაჯერებლად მოგვითხრობს სტალინური ეპოქის საბჭოთა ტექნიკური ინტელიგენციის წრთობასა და ქვეყნის საკეთილდღეოდ მის პრაქტიკულ მუშაობაზე. ამ პიესის დადგმა წარმატებით განახორციელა ქუთაისის თეატრმა.

სპექტაკლში ინჟინერ ლადოს მთავარ როლს ასრულებს ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობი ვახტანგ ჯაფუტაშვილი. მან მაზნებარე ეტაპზე ამაღლებთ წარმოგვისახა საბჭოთა ახალგაზრდის მაღალი მორალური თვისებანი.

პიესის მეორე გმირი ნიკოლოზი ლადოს მეტოქეა როგორც მეცნიერული კარიერის დარგში, ისე პირადი გრძნობების მხრივ. საბჭოთა სინამდვილის ეკეთილსმყოფელი გავლენა საფუძველად გარდატეხას ახდენს მის არსებაში. იგი ტოვებს ძველ დამოუკიდებელ გზას და სავსებით გარდაქმნილი უერთდება ამხანაგების მოწონავე წრეს. გმირის სულისკვეთებაში მომხდარი ცვლილებანი კარგად განასახიერა მსახიობმა ალექსანდრე ქელბაქიანმა.

მშვენიერ სახეებს ქმნიან მსახიობი თამარ კიკნაძე ნიკოლოზის დედის ნატოს როლში, მსახიობი ვალერიან გვენცაძე პროფესორ ლუარსაბ ავალიშვილისა და რუსპუბლიკის დამსახურებული არტისტი ცაცა ამირეჯიბი ლუარსაბის მეუღლის რუსუდანის როლში.

თეატრში ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშაობას ეწევიან აგრეთვე რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თინა ღონინაშვილი, მსახიობები იპოლიტე ხეიჩავაძე, ბარნაბ კოკეხაძე, მარგარიტა ფხაკაძე, გრიგოლ კოკესაძე და სხვები.

უკანასკნელ პერიოდამდე თეატრის მუშაობაში საგრძნობ ნაკლოვანებად ითვლებოდა ის, რომ მისი რეპერტუარი ღარიბი იყო თანამედროვე თემატიკაზე დაწერილი პიესებით, მაგრამ ეს ნაკლი მარტო ქუთაისის თეატრისათვის როდია დამახასიათებელი. იგი თანაბრად ახასიათებდა სხვა ჩვენს თეატრებსაც. ამ ბოლო დროს მდგომარეობა თანდათან სწორდება. ქუთაისის თეატრს უკვე აქვს ისეთი თანამედროვეს დადგმები, როგორიცაა ილო მოსაშვილის „ჩაძირული ქვები“, გ. გოგიჩაიშვილის „ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა“, კ. მეძველიას „მთების სიდიდენლო“, კონსტანტინე სიმონოვის „ეცხო ჩრდილი“. ამ სპექტაკლებით წარსდგა იგი თანამედროვე თემატიკის სპექტაკლების საკადრისო დათვალიერებაზე.

რეჟისურის საკითხი ჯერ კიდევ „ვიწრო ადგილად“ ითვლება ქუთაისის თეატრის ცხოვრებაში. მართალია, თეატრს ხელმძღვანელობს სცენის გამოცდილი ოსტატი რესპუბლიკის ხალხმო არტისტი დ. ანთაძე, აქ მუშაობენ რეჟისორები ს. ოყრეშიძე, ახალგაზრდა რეჟისორები ვ. ქუთათელაძე და გ. ოსეფიანი, მაგრამ ძნელია მარტო ამ ძალებზე დაყრდნობით სავსებით და უნაკლოდ შეასრულოს თეატრმა ის ამოცანები, რასაც სათეატრო ხელოვნების წინაშე აყენებს ჩვენი ეპოქა.

როგორც ცნობილია, სარეჟისორო მუშაობის ძირითად დანიშნულებას წარმოადგენს სპექტაკლის იდეურ-მხატვრული მთლიანობისათვის ბრძოლა, შემოქმედებითი ანსამბლის ორგანიზაციის მიზანშეწონილი ფორმების შერჩევა, სპექტაკლის კომპოზიციური აღნაგობის ერთი მთლიანი სტილის ფარგლებში, აქტიორთან მუშაობა სცენური სახის ღრმად და სწორად გამოკვეთისათვის, დრამატული ნაწარმოების იდეის გადაქცევა სპექტაკლის წამყვან ხაზად, სპექტაკლის ყველა კომპონენტის ერთი მიზანსწრაფვით გამსჭვალვა პიესის ავტორისა და რეჟისორის ჩანაფიქრის სწორად გადმოცემის უზრუნველყოფად. ქუთაისის თეატრის გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს რეჟისორული მუშაობის გადაჭრით გაძლიერება ამ მიმართულებით.

დასასრულ ერთი ძალიან სერიოზული საკითხიც უნდა მოწესრიგდეს: საჭიროა თეატრი შეივსოს მოწინავე საბჭოთა მსახიობი ქალებით. ამაზე უნდა იზრუნოს თეატრის ხელმძღვანელობამ ხელოვნების საქმეთა სამმართველოსთან ერთად. ეს შესაძლებელია მისცემს ქუთაისის თეატრს უფრო მეტი ნაყოფიერებით იმუშაოს ახალი შემოქმედებითი წარმატების მოსაპოვებლად.

**პ. ბახტურიძე**

# რას მოითხოვენ მარგანეცის ქალაქის მომხმარებლები

**ამ დღეებში გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ საქართველოს კ. პ. (ბ) ჭიათურის საქალაქო კომიტეტთან ერთად მოაწყო მარგანეცის ქალაქის ვაჭრობის მუშაკთა შეხვედრა მომხმარებლებთან. შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია ჭიათურელ მაღაროელებში. ჟურნალისტი ამ შეხვედრის მოკლე ანგარიშს.**

ჭიათურაში რამდენიმე სავაჭრო ორგანიზაციაა. აქ არის მარგანეცის ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილება, სახვაჭრობის ჭიათურის განყოფილება, ქალაქის და რაიონის სამომხმარებლო კოოპერატივები. ერთი შეხედვით ვაჭრობის საქმეში არც თუ ცუდი მდგომარეობა უნდა იყოს. მაგრამ როგორც მარგანეცის ქალაქის მომხმარებელთა გამოსვლებიდან გამოირკვა, ვაჭრობის დარგში ყველაფერი რიგზე როდია.

სტალინის სახელობის მაღაროში შეხვედრა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) ჭიათურის ქალაქკომის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების განყოფილების გამგემ ამხ. ე. კაპანაძემ. შეხვედრაზე ინფორმაციით გამოვიდა მარგანეცის ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილების უფროსი ამხ. ვ. დოლიძე. მან აღნიშნა, რომ მუშათა მომარაგების განყოფილება, როგორც წამყვანი ორგანიზაცია ჭიათურაში, ჯერ კიდევ ცუდად მუშაობს. მან მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა 79,8 პროცენტით შეასრულა, 439.000 მანეთი იზარალა, ხოლო დებიტორულმა დავალიანებამ 1.309.000 მანეთს მიაღწია. პირველ კვარტალში ამ განყოფილებამ ვერ შემოზიდა 15 ტონა ხორცი, 6 ტონა თევზეული, 2 ტონა ცხიმეული და სხვ. მუშათა ბევრ სასადილო-მაღაზიას რემონტი ჭირდება, დაცული არ არის სიუფთავე, მაღაზიებსა და სასადილოებში დაბალი კვალიფიკაციის კადრები მუშაობენ, ზოგჯერ ადგილი აქვს მომხმარებელთა ზომა-წონაში მოტყუების შემთხვევებს.

ქალაქსა და მაღაროებში მოუგვარებელია დატარებითი ვაჭრობა, მაღაროებამდე პურის და სხვა პროდუქტების გადაზიდვა. ჭიათურაში არ არის აგრეთვე მაცივარი, რაც იწვევს პროდუქტების გაფუჭებას.

სიტყვა აიღო ორგზის ორდენოსანმა ამხ. არ. ძინძიბაძემ.

— ახლა, — თქვა მან, — ჩვენს სამშობლოს ყველაფერი გააჩნია, რათა საბჭოთა მომმხარებელმა მიიღოს ის, რაც მას სურს. სავაჭრო ორგანიზაციებმა ჩვენს მოთხოვნილებასა და გემოვნებას უნდა გაუწიონ ანგარიში. ზოგჯერ ჩვენს სასადილოში ერთფეროვანი და უხარისხო კერძები კეთდება, რაც დაუშვებელია.

მომხმარებელმა ამხ. უ. კაპანაძემ აღნიშნა: სავაჭრო ორგანიზაციები მოუქნელად მუშაობენ, ბუფეტებში ვერ ნახავთ საკონდიტრო ნაწარმს, როცა ასეთი ქალაქში ბლომად იშოვება; როგორც მაღაროებში, ისე ქალაქად მომხმარებელი ძნელად იშოვის უალკოჰოლო, გამაგრილებელ სასმელებს. რატომ არ უნდა მიჰქონდეთ მაღაროებში ბორჯომის წყალი, ლიმონადი? მომხმარებელი მოკლებულია მინერალურ სამკურნალო წყლებს. რატომ არავინ ფიქრობს მათ შემოზიდვაზე მარგანცის ქალაქში?

სტახანოველმა ამწერმენდა ამხ. შ. სამხარაძემ თქვა: ჭიათურელ მაღაროელებს მეტსა და მაღალხარისხოვან მარგანეცს თხოვენ. ჩვენ პატიოსნად ვასრულებთ სამშობლოს დავალებას. საშობლოდ ჩვენზე ზრუნავენ, ცხოვრების კარგ პირობებს გვიქმნის, სავაჭრო ორგანიზაციების მოუქნელი მუშაობით კი მაღაროელები პირველი მოთხოვნილების პროდუქტებსა და საგნებს დროულად ვერ ვიღებთ.

მომხმარებელთა ამხ. ლ. აბაშიძემ აღნიშნა, რომ ზოგჯერ მუშათა სასადილოებში და მაღაზიებში არ არის კულტურული მომსახურება, მაღაროელებს თავაზიანად არ ეპყრობიან გამყიდველები და მიმტანები, ისინი კულტურული ვაჭრობის მაგიერ ირეკვევენ წესებს, უხეშად მიმართავენ მომხმარებელს, ატყუებენ ზომა-წონაში. მათი მუშაობისადმი კონტროლი უნდა გაძლიერდეს.

სავაჭრო ორგანიზაციების მოუქნელ მუშაობაზე იელპარაკეს აგრეთვე მაღაროელმა მომხმარებელმა მ. ჯუმბერიძემ, ა. წერეთელმა, ს. ბაძგარაძემ. მათ პრაქტიკული წინადადებებიც შემოიტანეს მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

სავაჭრო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან მომხმარებლების შეხვედრა მოეწყო აგრეთვე ქალაქის ცენტრში.

მარგანტრესტის მთავარი მექანიკური სახელოსნოს სტახანოველმა ამხ. პ. ჩაფიძემ სავაჭრო ორგანიზაციებს უსაყვედურა, რომ ისინი ნაკლებად ზრუნავენ სეზონური და სხვადასხვა ასორტიმენტის საქონლის შემოზიდვაზე. ზამთარში ძნელად იშოვებოდა ფანელი და რეზინის ნაწარმი, ახლა კი ისინი შემოზიდეს, ხოლო სამაგიეროდ ჭიათურაში ვერ იშოვით საზაფხულო ტილოს, მამაკაცის წინდას და სხვ. მაღაზიებში არის მხოლოდ მამაკაცის 39 ან 40 ნომერი ფეხსაცმელი. უფრო მეტი ნომერი ფეხსაცმლის შოვნა ძნელია. ასევე საძნელოა ბავშვის ფეხსაცმლის შეძენა.

მომხმარებელმა თ. დვალაძემ აღნიშნა, რომ მუშათა სასადილო-მაღაზიებში საკმაოდ არ არის ინვენტარი, მაშინ, როცა ისინი საწყობებში აწყვია. მანვე ილაპარაკა მინერალური წყლების შემოზიდვის გადიდების საჭიროებაზე და ვაჭრობისადმი კონტროლის გაძლიერების აუცილებლობაზე.

კულტურული ვაჭრობის გაუმჯობესების საკითხებზე ილაპარაკეს აგრეთვე მომხმარებლებმა ოტიაშვილმა, კახნიაშვილმა, ლაბაძემ. მომხმარებელები სამართლიან საყვედურს გამოთქვამდნენ რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის მისამართითაც. მომხმარებლებმა აღნიშნეს, რომ უწესრიგობაა ქალაქად არსებულ სასადილოებსა და საკოლმეურნეო ბაზრებზე.

სავაჭრო ორგანიზაციების მუშაკებმა სათანადო დასკვნები უნდა გამოტანონ მაღაროელ მომხმარებელთა შენიშვნებიდან და გადაჭრით გაუმჯობესონ მუშაობა, იბრძოლონ კულტურული საბჭოთა ვაჭრობისათვის, მარგანეცის ქალაქის მშრომელთა უკეთ მომსახურებისათვის.

**ჯ. ჭიოკაძე**

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

# პრემიები ხე-ჯყის დამზადების გეგმების წარმატებით შესრულებისათვის

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით 1948-1949 წლების შემოდგომა-ზამთრის სეზონში ხე-ტყის დამზადების გეგმების წარმატებით შესრულებისათვის დაჯილდოებული არაან მსუბუქი ავტომობილ „მოსკვიჩით“, მოტოციკლით, რადიომიმღებით და სხვა ძვირფასი საჩუქრებით:**

**ახმეტის რაიონიდან** — სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ე. ს. ბურეშიძე და კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. ლ. ფარცოსაშვილი.

**თელავის რაიონიდან** — კოლმეურნეობის მესაქონლეობის და პარტიის რაიკომის მდივანი გ. ს. სეფნაშვილი.

**თიანეთის რაიონიდან** — პარტიის რაიკომის მდივანი ვ. ნ. დვალი, მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ტ. ბ. ჭინჭარაული და კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. ი. ბუჯიაშვილი.

**სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან** — კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები გ. კ. ხიტიკოევი და ს. ს. ცხოვრებოევი, საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის სოლუმი კომიტეტის მდივანი გ. ნ. მედოევი.

**ხობის რაიონიდან** — პარტიის რაიკომის მდივანი მ. ა. სოლოდი, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები ი. ჯ. მოსაა და ს. ი. კეკენა.

**წულუკიძის რაიონიდან** — პარტიის რაიკომის მდივანი ვ. ა. ოხოლაძე.

**ლანჩხუთის რაიონიდან** — პარტიის რაიკომის მდივანი შ. ა. ხიტარი.

**ცხაკაიას რაიონიდან** — მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. ბ. გვაძაბია.

**აბაშის რაიონიდან** — პარტიის რაიკომის მდივანი ს. ვ. ეგნარაძე და კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ბ. კაკბარაია.

**ზუგდიდის რაიონიდან** — კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები ი. ი. ქანთარია და ი. მ. ქობალია, მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. ვ. გოხერია.

**წალენჯიხის რაიონიდან** — პარტიის რაიკომის მდივანი მ. ვ. კვარაცხელია.

**გალის რაიონიდან** — კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები ვ. ა. გოგოხია, შ. ვ. სირგინავა, გ. ვ. ჯაფუტორია, ი. მ. ცოფოლია, ს. გ. ჯობავა, ა. ნ. სოხოდნაია და ი. კ. ქობალია.

**სიღნაღის რაიონიდან** — პარტიის რაიკომის მდივანი მ. ბ. ალავერდაშვილი და კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. ი. მარუხაშვილი.

**წითელწყაროს რაიონიდან** — პარტიის რაიკომის მდივანი ვ. ვ. ფირცხალავა და კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. ბ. მამიაშვილი.

**ლაგოდეხის რაიონიდან** — კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები ბ. ა. გოგოლაძე და თ. ბ. ცერტანიძე.

**ზემოსვანეთის რაიონიდან** — პარტიის რაიკომის მდივანი ვ. ვ. სიჭინავა, მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ს. მ. ფარულავა, რაისაბჭოს აღმასკომის კულტურულ-საგანმანათლებლო განყოფილების გამგე ა. დ. კორძაია, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეები მ. ვ. დავითაური, რ. თ. მარგიანი, ი. ბ. ხაფთანი, ლატალის სასოფლო საბჭოს ტერიტორიული პარტორგანიზაციის მდივანი ა. დ. გეჩინაძე, თაურიღის სასოფლო საბჭოს ტერიტორიული პარტორგანიზაციის მდივანი ბ. ი. ქალდანი და ბაზების რაიკომის მდივანი ა. გ. ჩხეტანაძე.

**ორჯონიკიძის რაიონიდან** — მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. ს. დამბაშიძე, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები ა. დ. ტალაბაძე და ა. ე. ლაკაბაძე.

# როლის დაკმაყოფილებენ სასპორტო მოედნის მშენებლობას?

ცხაკაიელ ახალგაზრდობას, მთელ მოსახლეობას უყვარს სპორტი. რამდენიმე წლის წინათ განზრახული იყო რკინიგზის სადგურის უკან მდებარე ადგილზე სფეიბუტრთო მოედნის მოწყობა, რასაც მოსახლეობა მოწონებით შეხვდა.

მოედნის მშენებლობა დაიკავა სპორტსაზოგადოება „სპარტაკს“. პირველ ხანებში საამშენებლო სამუშაოები ჩქარ ტემპით წავიდა. მოზიდულ იქნა ქვა, კირი, აგური, დაიწყეს მოედნის შემოკავება ქვიტკირით. მთავარი შარაგზის მხრიდან აეშენებს 1 მეტრზე ცოტა მეტი სიმაღლის ქვიტკირის გალავანი და საქმეს ამით მორჩნენ. როცა ამ მინდორზე ფეხბურთის მატჩები ეწყობა, მაყურებელს მთელი 90 წუთის განმავლობაში ფეხზე დგომა ან მიწაზე დაჯდომა უხდება.

სპორტული სეზონი კარგა ხანია დადგა, მოედნის მშენებლობა კი დაამთავრებელია. ამას წინათ სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ თავმჯდომარემ ამხ. ლ. გეგუნავამ, შეკითხვაზე თუ როდის განახლდება სფეიბუტრთო მოედნის მშენებლობა, უდარდელად უპასუხა:

— როცა ფულს მომცემენ!..

სფეიბუტრთო მოედნის მშენებლობას უფრო გამოცდილი და საქმით დაინტერესებული მუშაკი უნდა ხელმძღვანელობდეს.

**ბ. მილიუტინი**

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

## „კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

# „ხვნა-თესვის საუკეთესო ვადებს ხელიდან უშვებენ“

**ამ სათაურით „კომუნისტის“ 31 მაისის ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია ზოლის რაიონიდან. კორესპონდენციაში გაკრიტიკებული იყო ზოგიერთი კოლმეურნეობისა და მტს-ის არადამაკმაყოფილებელი მუშაობა ხვნა-თესვის დარგში, აღნიშნული იყო, რომ შრომის მოუწესრიგებლობა აფერხებს გეგმის დროულად შესრულებას.**

**საქართველოს კ. პ. (ბ) წოლის რაიკომის მდივანი ამხ. ი. ხარისჩარიშვილი გვატყობინებს, რომ კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები ძირითადად დადასტურდა.**

**პარტიის რაიონულმა კომიტეტმა მოიწვო წერილის განხილვა ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე. მიღებული ზომების შედეგად 10 ივნისისათვის რაიონში საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა შესრულებული იყო 100,2 პროცენტით.**

**სოფელ ბეშუმაშენის კოლმეურნეობის მემანდვრეთის ბრიგადირი ს. კარიბოვი და მერძეობის სასაკონლო ფერმის გამგე ლ. კოცანოვი პირველადი პარტიული ორგანიზაციის გადაწყვეტილებით გაფრთხილებულ იქნენ კოლმეურნეთაშორის შრომადღეების არა თავისდროზე დარიცხვისათვის.**

**კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის გადაჭრით გასაუმჯობესებლად პარტიის რაიონულმა კომიტეტმა დასახა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი.**

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

# საჭიროა მეგი პასუხისმგებლობა მეცნიერული ცოდნის პროპაგანდის საქმეში*)

სარეცენზიო ბროშურაში განხილულია ორი სიინტერესო პრობლემა: სიცოცხლის წარმოშობა და ადამიანის წარმოშობა. ეს ორი დიდი პრობლემა „გადაწყვეტილია“ პატარა ფორმატის ბროშურის 18 გვერდზე. ორივე პრობლემაზე მასალები მეტად მცირეა. გარდა ამისა, ბროშურაში დაშვებულია მეთოდოლოგიური შეცდომა, რომელსაც, სამწუხაროდ, ავტორის სხვა ნაშრომებშეა ვხვდებით. ე. ვასაძე საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს მსჯელობას ისეთ გაცვეთილ საკითხზე, როგორიცაა: ყვავილი უწინ გაჩნდა თუ ქათამი. ამ საკითხის განხილვით და „გადაწყვეტით“ ავტორი ქადაგებს ანტიმარქსისტულ შეხედულებას.

ე. ვასაძე წერს: „როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ადამიანმა თითქოს ერთგვარ ჩიხში ემწყვდევა აგრეთვე, როცა სვამს კითხვას: კვერცხი გაჩნდა უწინ თუ ქათამი.

ეკოლუციური (განვითარების) მოძღვრება დამაჯერებლად წყვეტს ამ საკითხს. ცხოველების ისტორიული განვითარება მოწმობს, რომ ფრინველებს წინ უსწრებდნენ ე. წ. რეპტილიები (ქვეწარმავალნი), რომელნიც კვერცხით მრავლდებიან. ამრიგად, კვერცხი უფრო ადრინდელია, ვიდრე ქათამი. სწორედ ასე სვამს საკითხს აკადემიკოსი ა. ი. ოპარინი“.

ავტორს ტყუილად ჰგონია, რომ მკითხველი ამ განმარტებით დაკმაყოფილდება. ბუნებრივია, რომ ის შეეკითხება ავტორს,—„ქვეწარმავლებში როგორ წყდება ეს საკითხი: ხელიკი პირველადია თუ მისი კვერცხი?“ ცხადია, ავტორი წინა პასუხის მსგავსად უპასუხებს — „რეპტილიებს წინ უსწრებდნენ ამფიბიები, რომელნიც კვერცხებით მრავლდებიანო“. მაგრამ აშკარაა, რომ მკითხველი არც ამ მოეწვება ავტორს,—„ამფიბიებში როგორ წყდება ეს საკითხი: ბაყაყია პირველადი თუ მისი კვერცხი?“ თუ ავტორი თავის ლოგიკას გაჰყვა, იძულებული იქნება თქვას, რომ საერთოდ პირველადია კვერცხი, მეორადია ორგანიზმი.

განა ცხადი არ არის, რომ ეს პირწმინდა ვეისმანიზმია? ვეისმანიზმის არსი ხომ იმაშია, რომ ის აღიარებს ჩანასახოვანი პლაზმის პრიმატობას სომასთან შედარებით.

აკადემიკოსი ტ. დ. ლისენკო თავის მოხსენებაში „მდგომარეობა ბიოლოგიურ მეცნიერებაში“, გმობდა რა ზავადოვსკის ვეისმანისტურ შეხედულებას, ამბობდა: „საქმე ეხება ვეისმანის და ყველა მენდელისტ-მორგანისტის, მათ შორის პროფესორ მ. მ. ზავადოვსკის თვალსაზრისით ძალიან დიდმნიშვნელოვან იდეას. ამ იდეას პროფესორი ზავადოვსკი ასე აყალიბებს: „რა წარმოიშვა უფრო ადრე—ქათმის კვერცხი თუ ქათამი?“ და საკითხის ამ მწვავე დაყენებაში, — წერს პროფესორი ზავადოვსკი, — ვეისმანმა შოგვაცა მკაფიო, კატეგორიული პასუხი — კვერცხი“.

ვეისთვის არ არის ცხადი, რომ როგორც კითხვა, ისე ვეისმანის შემდეგ პროფესორ ზავადოვსკის მიერ მასზე გაცემული პასუხი ძველი სქოლასტიკის უბრალო და თანაც დაგვიანებული აღორძინებაა“. (იხ. ლისენკოს მოხსენება. გვ. 18-19).

აკადემიკოსი ლისენკო გმობს „ქათმისა და კვერცხის“ საკითხის გადაწყვეტას ისე, როგორც ეს ე. ვასაძის ბროშურაშია მოცემული, მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ ის სქოლასტიკურია, არამედ იმიტომაც, რომ საკითხის ამგვარად გადაწყვეტა, რომელსაც ასეთი სითამამით იმეორებს ავტორი და უდასტურებს რედაქტორი ა. პაპავა, წმინდა ვეისმანისტურია.

გაოცებას იწვევს ე. ვასაძის აზრი იმის შესახებ, თითქოს აკადემიკოსი ა. ი. ოპარინიც ისე წყვეტდეს საკითხს, როგორც ეს „გადაწყვეტილია“ ვასაძის ბროშურაში.

ჩვენ ხელთ გვაქვს აკადემიკოს ა. ი. ოპარინის შრომა „სიცოცხლის წარმოშობა დედამიწაზე“ (1945 წლის გამოცემა), სადაც ასეთი რამ არ არის მოცემული. საკვირველია, ოპარინის რომელ ნაშრომშია ამოიკითხა ავტორმა საკითხის ასეთი დასმა.

ბროშურაში ლაპარაკია ადამიანისა და ადამიანის მსგავსი მაიმუნების ნიშნებზე, ხოლო მათ შორის განსხვავებას ხაკლები ყურადღება აქვს მიქცეული. ცნობილია, რომ დარვინმა ადამიანის წარმოშობის საკითხი განიხილა როგორც ბუნებრივ-ისტორიული პროცესი და დაამტკიცა, რომ ადამიანი ცხოველური წარმოშობისაა, მაგრამ ვერ გასცა პასუხი კითხვაზე: როგორია ის ფაქტორები, რომლებიც საფუძველად დაედო გადამიანების ისტორიულ პროცესს. ეს საკითხი მეცნიერულად გადაწყვიტა ფ. ენგელსმა ნაშრომში „შრომის როლი მაიმუნის ადამიანად გარდაქმნის პროცესში“. ფ. ენგელსის ამ ნაშრომის საფუძველზე ავტორს პოპულარული ენით უნდა აეხსნა მკითხველისათვის ამ ისტორიული პროცესის გამომწვევი ფაქტორების როლი. ავტორი რატომღაც დაკმაყოფილდა ენგელსის ამ შრომიდან მხოლოდ ოთხი წინადადების ციტირებით და სრულიად უყურადღებოდ დატოვა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა ტვინის განვითარების გამომწვევი ფაქტორები.

ავტორს უნდა მოეცა შედარებითი სურათი ადამიანისა და ადამიანის მსგავსი მაიმუნების ტვინის შესახებ და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებსაც შეხებოდა. მაგრამ ავტორი უფრო გატაცებულია ზოგიერთი ცდის მოყვანით, რომელებსაც არავითარ კრიტიკულ შეფასებას არ აძლევს. წიგნში სრულიად არ არის მოცემული ნამარხი ფორმების ღაბასიათება, რომელიც ეხება ფენს ადამიანის წარმოშობის ისტორიას.

ბროშურას ბევრი სხვა ნაკლი და შეცდომაც ახასიათებს, მაგრამ ზემოაღნიშნულიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ ბროშურა ვერ ამართლებს თავის მიზანდასახულობას. საჭიროა მეტი ყურადღებითა და პასუხისმგებლობით მოეკიდოთ მეცნიერული ცოდნის პროპაგანდას ფართო მასებში.

**ბ. ყურაშვილი**

ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი

*) ე. ვასაძე—„სიცოცხლის წარმოშობა და განვითარება დედამიწაზე“. მეცნიერულ-პოპულარული ბიბლიოთეკა. სახელგამი, 1949 წ., ქ. თბილისი.

# ძუკუ რიგვავა

ადამიანის ცხოვრებაში არის ხოლმე ისეთი დღეები, რომელთა დავიწყება არასოდეს არ შეიძლება. ძუკუ რიგვავასთვის ერთი ასეთი დღე 1942 წლის ზაფხულში იყო...

მაშინ ის—საბჭოთა არმიის სერჟანტი—სადღაც დონბასის მიდამოებში იბრძოდა. მისი ათეული იმ დიდი არმიის პატარა ნაწილაკს შეადგენდა, რომელიც სამხრეთში გერმანელ ფაშისტთა გაფთრებულ შემოტევას აკავებდა და აჭიანურ თავდაცვით მტრის ძალებს ასუსტებდა. დღე კარგად დაიწყო. ჩვენები კონტრშეტევაზე გადავიდნენ და მტერი შორს გარეკეს. გარჯვების სურვილით ანთებული სერჟანტი მოწინააღმდეგის განლაგებაში შეიჭრა და თავისი ათეულით ფაშისტებს რისხვად დაატყდა, მაგრამ უკანასკნელ წუთებში, როცა ბრძოლის ბედი თითქმის უკვე გადაწყვეტილი იყო, მეომრებმა დაინახეს, თუ როგორ შეტორტმანდა მათი საყვარელი მეთაური და უკრძნობლად დაეცა მიწაზე... მარცხენა ძალაზე ძვლები ტყვიამფრქვევის ტყვიით მთლად დაჩეჩქეული ჰქონდა, თქმიზე კი ყუმბარის ნამსხვრევებისაგან — კუნთები ღრმად ამოგლეჯილი!

ჰოსპიტალში სერჟანტს უმკურნალეს; ჭრილობა მოუშუშეს, მკლავის ოპერაცია გაუკეთეს და რკინის სალტები ჩაუსვეს, მაგრამ მისი მდგომარეობა მაინც იმდენად მძიმე იყო, რომ ომში შემდგომ მონაწილეობაზე ფიქრიც კი აღარ შეეძლო. მალე იგი დემობილიზებულ იქნა.

მშობლიურ სოფელში დაბრუნდა მებრძოლი უსიხარულოდ, ნაღვლიანად დაბრუნდა. ყოველ უნებლიე მოძრაობაზე მკლავში მწვავე ტკივილებს გრძნობდა, მაგრამ ფიზიკურ ტკივილს იგი არ შეეშინდებოდა, რომ გაცილებით უფრო საგრძნობსა და ძლიერს სულიერ ტკივილს არ შეეწუხებია... ვერაგი მტერი მაშინ ჯერ კიდევ წინ მოიწევდა,—უკვე ესტალინგრადსა და კავკასიაზე მოჭქონდა იერიში. ზურგშიც მძიმე მდგომარეობა იყო. ომს მოუსვლელობაც დაერთო და ახალი სიძნელეები წარმოშვა. ძუკუმ შეამჩნია იმერეთიდან გალში სიმინდის საყიდლად ჩამოსული მოხუცი ქალები და ცული ეტაცნა. მას ტანჯავდა იმის შეგნება, რომ ძალიან ადრე გამოვიდა მწყობრიდან. საშობლოს პატრიოტი ქმაყოფილი არ იყო თავისი თავით, იგი ფიქრობდა, რომ ძალიან ცოტა რამის გაკეთება მოასწრო და სული ეხუთებოდა.

ცალი ხელით უავარჯენზე დაყრდნობილი, გამხდარი და ტკივილებისაგან შეწუხებული ძუკუ რიგვავა ნელა მიაბიჯებდა სოფელ ქვემო ბარღვინის ნაცინა ოროღობეში და გულის სიღრმეში ინახავდა იმედს, რომ ისევ შეძლებდა მწყობრში ჩადგომას, საშობლოსათვის სასარგებლო საქმის გაკეთებას...

სტალინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობა სიხარულით შეხვდა რიგვავას დაბრუნებას. მაშინ სოფელში ერთი მამაკაცის, თუნდაც დაჭრილის მომატება ბევრს ნიშნავდა. მით უფრო სასხარულო იყო ყოფილი ბრიგადირის მოსვლა, რომლის მუყაითობა და ორგანიზატორული ნიჭი ყველასათვის კარგად იყო ცნობილი. მალე რიგვავას მიანდეს № 5 ბრიგადის ხელმძღვანელობა. ეს ბრიგადა კოლმეურნეობაში მანამდე ყველაზე ჩამორჩენილი იყო. ბრიგადირს იმხანად არაოთ ფეხსაცმელი ჰქონდა. ეს ყოფა ბრიგადირს ცალ ფეხზე ეცვა, ცალ ფეხზე ეცვა ლაბანური. ასეთ ფეხსაცმელს ეწოდებოდა „ბოსტანი“. ასეთ ფეხსაცმელს ეცვა ბევრი ადამიანი. ბოსტანი ტანსაცმელ ნივთად ითვლებოდა. ბოსტანი ფეხზე ეცვა ბევრ ადამიანს, ბოსტანი ეცვა ბევრ ადამიანს, ბოსტანი ეცვა ბევრ ადამიანს, ბოსტანი

# მაო ძე-დუნის სიტყვა ახალი პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს მოწვევის მოსამზადებელი კომიტეტის სესიაზე

**ბეიპინი,** 20 ივნისი. (საყდესი). პროგრესულ ნაციონალ ალიანსის ახალი პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს მოწვევის მოსამზადებელი კომიტეტის სესია. ამ სესიის ამოცანა ის არის, რომ დამამთავროს იმისათვის საჭირო მთელი მოსამზადებელი მუშაობა, რომ რაც შეიძლება მალე იქნას მოწვეული ახალი პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭო, რომელიც მოწოდებულია შეიქმნას ახალი დემოკრატიული კოალიციური მთავრობა, რათა მთელი ჩინელი ხალხი დარაზმოს გომინდანელ რეაქციონერთა ნაშთებისაგან ჩინეთის გასწმენდისა, სასტენატური და თანმიმდევრული გაწმენდისათვის საბრძოლველად, მთელი ჩინელი ხალხის გიერთიანებისათვის, პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული მშენებლობის განხორციელებისათვის და ეროვნული თავდაცვის შექმნისათვის ჩინეთის ეროვნული ხელფასებისათვის. მთელი ჩინელი ხალხი იმედოვნებს, რომ ჩვენ ამას გავაკეთებთ და უნდა გავაკეთოთ კიდეც.

1948 წლის 1 მაისს ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ ჩინელ ხალხს მიმართა: წინადადებთ, ახალი პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს მოწვევის შესახებ. ჩინეთის დემოკრატიული პარტიები და ჯგუფები, სახალხო ორგანიზაციები, ყველა წრის დემოკრატიული წარმომადგენლები, აგრეთვე ჩინეთის ნაციონალური უმცირესობანი და საზღვარგარეთ მცხოვრები ჩინელები სწრაფად გამოეხმაურნენ ამ წინადადებას. ჩინეთის კომუნისტურ პარტიას, დემოკრატიულ პარტიებსა და ჯგუფებს, სახალხო ორგანიზაციებს, ყველა წრის დემოკრატიული წარმომადგენლებს, აგრეთვე ნაციონალური უმცირესობათა და საზღვარგარეთელ ჩინელთა წარმომადგენლებს, ამ ინიციატივის ბიძგი მიეცა, ეს ინიციატივა ბაზისი ისე მტკიცეა, რომ ნამდვილად დემოკრატიული ორგანიზაციებსა და დემოკრატიულ წარმომადგენლებს შორის ახლია არაერთი სხვაობა არ ყოფილა. ყველა ისინი ეთანხმებიან იმას, რომ ეს არის ერთადერთი სწორი გზა ჩინეთის ყველა პრობლემის გადასაწყვეტად.

მთელმა ჩინელმა ხალხმა მხარი დაუჭირა სახალხო-განმათავისუფლებელ არმიას და იმი მოიგო. ეს დიადი სახალხო განმათავისუფლებელი ომი, რომელიც 1946 წლის იანვარში დაიწყო, სამ წელს გრძელდებოდა. ეს ომი გომინდანელმა რეაქციონერებმა დაიწყეს - უცბოდის იმპერიალისტების კომბინაციით. ხალხს წინააღმდეგ სამოქალაქო ომი რომ დაიწყეს, გომინდანელმა რეაქციონერებმა გამეცარლურად დაარღვიეს შეთანხმება 1946 წლის იანვარში მიღებული დასაბუთების შესახებ და პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს გადაწყვეტილებანი. მაგრამ სამი წლის განმავლობაში გომინდანელები განადგურა გმირმა სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ.

ამის წინათ, ზაფის შესახებ გომინდანელი რეაქციონერების განცხადებათა სიყალბის გამამჟღავნების შემდეგ, სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ დიიწო გამეფდელი შეტევა და გადალახა მდინარე იანძი. სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ დაიკავა გომინდანელ რეაქციონერთა დედაქალაქი ნანკინი. მან გადალახა ყიანგსი შანხაი, ხანჯოუ, ნანჩანი, უხანი და სიანი. სახალხო-განმათავისუფლებელი ჯარის ბრძენი წინ მიიწევენ სამხრეთ და ჩრდილოდასავლეთ პროვინციებში, ახორციელებენ ჩინეთის ისტორიაში უმნიშვნელოვანი დიდ ლიქვიდაციას. ამ სამი წლის განმავლობაში სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ გაანადგურა გომინდანელი ჯარი 5.590 ათასი კაცის საერთო რაოდენობით. ამკიდან გომინდანელთა ჯარის ნაშთები, მათ შორის რეგულარული და ადარეგულარული ნაწილები, აგრეთვე სამხედრო ორგანიზაციები და სამხედრო სკოლები ზურგში, შეადგენენ მხოლოდ მილიონნახევრამდე კაცს. მოშენაღმდეგის ჯარის ნაშთების სრული მოსპობა ჯერ კიდევ რამდენიმე დროს მოითხოვს, მაგრამ ეს მომენტი შორს არ არის.

ეს არის მთელი ჩინელი ხალხის გამარჯვება, აგრეთვე მთელი მსოფლიოს ხალხთა გამარჯვება. მთელი მსოფლიო, გარდა სხვადასხვა ქვეყნის იმპერიალისტებისა და რეაქციონერებისა, ზეიმით შეხვდა ჩინელი ხალხის ამ დიდ გამარჯვებას. ჩინელი ხალხი და მთელი მსოფლიოს ხალხები თავიანთი მტრების წინააღმდეგ იბრძვიან ერთი და იგივე მიზნისათვის. ჩინელ ხალხთან ერთად მთელი მსოფლიოს ხალხები მოაწყო არიან შემდეგი ფაქტისა: იმპერიალისტები ჩინელ რეაქციონერებს ხელმძღვანელობენ სასტეკ კონტრრევოლუციურ ომში ჩინელი ხალხის წინააღმდეგ. მაგრამ ჩინელმა ხალხმა გამარჯვება მოიპოვა ამ რეაქციონერებზე რევოლუციურ ომში. მე მიმაჩნია, რომ აქ საჭიროა ხალხს ფიქრიდან მივაქციოთ ამ ფაქტს, რომ იმპერიალისტები და მათი ერთგული ფიფაკენი — ჩინელი რეაქციონერები—ორ შეურიგებლად თავიანთი დამარცხებას ჩინეთში.

ისინი ერთმანეთთან ითანამშრომლებენ და ეცდებიან ჩინელი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლისათვის გამოიყენონ ყოველი საშუალება, მაგალითად, ჩინეთში შემოგზავნან თავიანთ ლაქიებს განთავსდეს და ძირგამომფხრეკი მუშაობისათვის. ეს გარდუვალია, და ისინი, რა თქმა უნდა, ხელს არ აიღებენ ამ საქმიანობაზე, წაადგებენ ჩინელ რეაქციონერებს და შესაძლოა თავიანთი საკუთარი ძალებიც ეი გამოიყენონ, რათა მოიახდინონ ჩინეთის საზღვარ ნავსადგურების ბლოკირება. ისინი ამას განახორციელებენ, თუ კი შესაძლებელი იქნება. უფრო მეტიც, შეუძლებელი არ არის, რომ ისინი ავანტიურის ბაბას დადგენენ და თავიანთი შეიარაღებული ძალების ნაწილი გამოგზავნონ, რათა ჩინეთში შემოიჭრან. ყოველივე ეს მხედველობაში უნდა მიეიღოთ. მიუხედავად ჩვენი გამარჯვებისა, არ უნდა შევანებოთ ჩვენი სიფხიზლე იმპერიალისტებისა და მათი ერთგული ქოფაკების შეთქმულებათა მიმართ. ვინც სიფხიზლეს შეანებებს, იგი პოლიტიკურად განიარაღდება და პასიურ პოზიციაზე აღმოჩნდება. ამ ეითარებაში მთელი ხალხი უნდა გაერთიანდეს, ტაკიეცდ, სრულად, ბრწყინვალედ და ერთობლივად ჩაფუშოს იმპერიალისტებისა და მათი ლაქიების, ჩინელი რეაქციონერების, ხალხის საწინააღმდეგო ყველა შეთქმულებრივი გეგმები. ჩინეთი დამოუკიდებელი და თავისუფალი უნდა იყოს. ჩინეთის ხალმე თვითონ ჩინეთელ ხალხმა უნდა გადაწყვიტოს ისე, რომ ამაში ოდნავადაც არ ეროვოდეს რომელიმე იმპერიალისტური ქვეყანა.

ჩინეთის რევოლუცია არის რეგოლუცია, რომელიც მთელი ერის ხალხის მასებმა მოახდინეს. იმპერიალისტებმ, ფეოდალებმ, ბიუროკრატიული ბურჟუაზიის, გომინდანელი რეაქციონერებისა და მათი დამქაშების გარდა, ყველა ჩვენი მეგობარია. ჩვენ ფართო და მტკიცე რეგიონალური ერთიანი ფრონტი გვაქვს, იმდენად ფართო, რომ იგი შეიკავს მუშათა კლასს, გლეხობას, წვრილ ბურჟუაზიას, ნაციონალურ ბურჟუაზიას; იმდენად მტკიცე, რომ მას აქვს შეუშეოკარი ნება და უშიერი შესაძლებლობა, რათა გაანადგუროს ყველა მტერი და დაძლიოს ყველა სიძნელე. ჩვენ ახლა ვიმყოფებით ისეთ ერაში, როდა იმპერიალისტური სისტემა სრული კრახისაკენ მიდის. იმპერიალისტები ჩაეფლნენ გარდვეულ კრიზისში და რაც უნდა სერიოზული ბრძოლა განაგრძონ ჩინეთი ხალხის წინააღმდეგ, ჩინელ ხალხს ყველა შესაძლებლობა აქვს მოიპოვოს საბოლო გამარჯვება. ამაკე დროს ჩვენ გვინდა მთელ მსოფლიოს განვუცხადოთ, რომ ჩვენ ეებრძვით მხოლოდ იმპერიალისტურ სისტემას და ჩინელი ხალხის საწინააღმდეგო მოსე შეთქმულებრივ გეგმებს. ჩვენ მზადა ვართ მოლაპარაკება ვაწარმოოთ ყოველი უცბო სახელმწიფოს მთავრობასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ ნაცვალებლის და თანასწორობის, ურთიერთსარგებლობისა და ტერიტორიული სუვერენიტეტის ურთიერთ პატივისცემის საფუძველზე, თუ კი ეს უცბო სახელმწიფო მზადაა ურთიერთობა გაწყვიტოს ჩინელ რეაქციონერებთან და აღარ დაეხმარება ან არ ამოქმედებს მათთან ერთად და თუ ნამდვილად და არა ფარულურად დაიკავებს მეგობრულ პოზიციას. ჩინელი ხალხი სადმი. ჩინელი ხალხი მზად არის მეგობრულად ითანამშრომლოს მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხებთან საერთაშორისო საკავრო ურთიერთობის აოდგენასა და განვითარებაში, რათა ხელი შეუწყოს წარმოების განვითარების და ეკონომიკის აყვავებას.

ბატონო დელეგატებო, ბოლოდროს ყველა პირობა ახალი პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს მოწვევად. ამ საბჭოს მოწვევას და მთავრობის შექმნას. მე მეკიცა, რომ მუშაობა, რაც ჩვენ დავიწყეთ, ეკამერთულს ხალხის ამ ინიციდა, უფრო მეტიც, რომ ეს იმედი გამართლდება ეაბლოეს მომავალში.

როცა შეიქმნება ჩინეთის დემოკრატიული კოალიციური მთავრობა, იგი უწინარეს ყოველისა, მთელ ყურადღებას მიაქცევს რეაქციონერთა ბრალის განადგურებას და მისი ძირგამომფხრეკი საქმიანობის ჩახშობას და, მეორე, ყოველ ღონეს იხმარს და ყოველ საშუალებას გამოიყენებს ხალხის ეკონომიური საქმიანობის აღდგენისა და განვითარებისათვის, აგრეთვე კულტურისა და განათლების დარგში ხალხის საქმიანობის აღდგენისა და განვითარებისათვის.

როგორც კი ჩინეთის ბედი ხალხის ხელში აღმოჩნდება, ჩინელი ხალხი დაინახავს, რომ ჩინეთი მზესავით აღმოსავლეთიდან ამობრწყინდება, თავისი სხივებით განათებს აღმოსავლეთს, მოსპობს რეაქციული მთავრობის მიერ დატოვებულ სიბინძურეს, მოიშუშებს ომით მიყენებულ ჭრილობებს და შექმნის ჩინეთის ახალ, ძლიერ, აყვავებულ სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკას.

გაეგმარჯოს ჩინეთის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკას! გაეგმარჯოს დემოკრატიულ კოალიციურ მთავრობას! გაეგმარჯოს მთელი ჩინეთის ხალხის დიდ ერთიანობას!

# პროფკავშირთა მეორე მსოფლიო კონგრესის წინ

## პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციი ის მიმართვა მთელი მსოფლიოს ნაციონალური პროფკავშირული ცენტრ რბის, დარგობრივი პროფკავშირული გაერთიანებებისა და ვუშუბებისადმი

**პარიზი,** 20 ივნისი. (საყდესი). პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ დღეს გამოქვეყნა შემდეგი მიმართვა მთელი ნაციონალური პროფკავშირული ცენტრების, დარგობრივი პროფკავშირული გაერთიანებებისა და მუშებისადმი.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ უკვე გაიკრა მშრომელებს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება პროფკავშირთა მეორე მსოფლიო კონგრესის მოწვევის შესახებ.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ადასტურებს და მოაგონებს ყველა მშრომელს, რომ პროფესიული კავშირთა მეორე მსოფლიო კონგრესი მუშაობას დაიწყებს ამა წლის 29 ივნისს ქალაქ მილანში (იტალია).

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციი ამ კონგრესზე იწვევს ყველა ნამდვილი პროფკავშირული ორგანიზაციის დელეგატებს.

იქ შემთხვევაში, თუ რომელიმე ნაციონალური პროფკავშირული ცენტრი, პროფკავშირული გაერთიანება ან ცალკეული პროფკავშირი რაიმე მიზეზით ვერ შეელევა კონგრესზე თავისი ოფიციალური დელეგატების გამგზავნას, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციაც ძმრად თხოვს მათ გამოგზავნონ კონგრესზე მეთვალყურენი.

პროფესიული კავშირების მეორე მსოფლიო კონგრესი იქნება პროფესიულ კავშირებში გაერთიანებულ ყველა მშრომელთა ერთიანობის სიმბოლო, მიუხედავად მათი რასობრივი და ეროვნული კუთვნილებისა, პოლიტიკური და რელიგიური რწმენისა.

კონგრესი განიხილავს და გადაწყვეტილებებს მიიღებს მსოფლიო პროფკავშირული მძრაობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

კონგრესის დღის წესრიგში შეტანილია ანგარიში პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის საქმიანობის შესახებ, აგრეთვე მოსაზეები პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის საქმიანობის ორგანიზაციისა და მშრომელთა ეკონომიური და სოციალური ინტერესების დაცვის იქ ნაციონალური ცენტრების საქმიანობის შესახებ, რომელიც მას ეხმარობიან, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის საქმიანობა ნაციონალურ ფედერაციის ფუნქციათა შესახებ.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციი ამ მალაყს თავის მიზნებსა და ამოცანებს. ისინი მოიშუშებენ მთელი მსოფლიოს პროფკავშირებმა პროფკავშირთა მსოფლიო კონგრესზე და გამოიტანენ ამით, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის რიგებში დარაზმან და გაერთიანონ მთელი მსოფლიოს პროფკავშირები განურჩეველად რასისა, ეროვნებისა, რელიგიისა და პოლიტიკური რწმენისა, დაეხმარონ ნაკლებ განვითარებული ქვეყნების მუშებს პროფკავშირების შექმნაში, იბრძოლონ ფაშიზმის საბოლოო მოსპობისათვის, ომებისა და მათი წარმომშობი მიზეზების წინააღმდეგ, დაიცვან მშრომელთა ინტერესები საერთაშორისო ორგანიზაციებში, იბრძოლონ მშრომელთა ეკონომიური და სოციალური უფლებებისა და დემოკრატიული თავისუფლებათა «ყოველგვარი ხელყოფის წინააღმდეგ, იბრძოლონ ზეციდან გადაღებისა და საქმეთა დღის შეკრებებისათვის, ეუქუნვარონ, ავადმყოფობის, უბედური შემთხვევებისა და მოხუცებულობის დროს სრული სოციალური უზრუნველყოფისათვის.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციი წარმოადგენს ორგანიზაციას, სადაც სხვადასხვა პროფკავშირული მიმდინარეობანი წარმომადგენლებს თავისუფლად შეუძლიათ გაეზიარონ ერთმანეთს თავიანთი შეხედულებანი, რათა ერთობლივად შექმნან საეკეთესო პირობები მთელი მსოფლიოს მშრომელთა საარსებო ინტერესების დასაცავად.

გაეგმარჯოს მსოფლიოს ყველა ქვეყნის მშრომელთა ერთიანობას, მათ ურთიერთდახმარებასა და სოლიდარობას!

გაეგმარჯოს მსოფლიოს ყველა ქვეყნის მშრომელთა მეგობრობას, დამოკიდებლად მათი რასობრივი და ეროვნული კუთვნილებისა, რელიგიური და პოლიტიკური რწმენისა!

გაეგმარჯოს პროფესიულ კავშირთა მეორე მსოფლიო კონგრესს!

# ცხელი ხაზი

## ლ. ი. წერეთელი

19 ივნისს გარდაიცვალა ბესარიონ ალექსანდრეს ძე ცინცაძე, ცნობილი მეცნიერთა დიდების, ინსტიტუტის ფიტოტექნიკოლოგიის განყოფილების გამგე, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა დოქტორი ლ. ი. წერეთელი (ფოტო) ოცდაერთ ასელ წლისა.

ლ. ი. წერეთელი დაბადა 1897 წელს სოფელ ცხრაკვეთში ტფილისის მაზრაში. ამ ხან დიდი ინტერესი გამოიჩინა ადგილობრივ ბუნებისა და ადგილობრივ ეკონომიკის მეცნიერთა ადგილობრივ ეკონომიკაში. ამ ინტერესმა ბიძგი მისცა ამ ადგილობრივ ეკონომიკის ინტენსიურ შესწავლას.

29 წლის განმავლობაში ლ. ი. წერეთელი ერთგულად ემსახურებოდა მეცნიერებას, დიდი უნარიანობით ეწეოდა კვლევითს მუშაობას. იგი მეცნიერთა დაცვას საქმის ერთ-ერთი ფუძემდებელი და ქალთაგან ამ სპეციალობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა პირველი დოქტორია საქართველოს სს რესპუბლიკაში. ძან გამოიყენა ძალი რიგი პრობლემები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ სოფლის მეურნეობისათვის. ბევრი შრომა მოახმარა ძან სოფლის მეურნეობის კულტურათა დაავადების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოყენებული პრეპარატების ეფექტიანობის გადიდებას, შეისწავლა შეაბვის ფორს ცოტრესოვანთა ნაყოფის ლპობის და ვაზის დაავადების მიზეზები.

ნაყოფიერი მეცნიერული კვლევითი მუშაობის შედეგად ლ. ი. წერეთელმა მნიშვნელოვან ეროვნულ შედეგებს ეიღწია. მის მიერ შემუშავებული მეთოდები დარგული ფორიანთა წარმოებაში. მეცნარეთა დაცვის დარგში არც ერთი ბეტად ეფ ხაკლებად არსებითი საკითხი ისე, ან გადაფუყვეტილი საკარიელში, რომ მას ქმედითი მონაწილეობა არ მიეღოს. უკანასკნელ წლებში ლ. წერეთელი მუშაობდა ულიესად აქტუალურ პრობლემაზე — ლიმონის დაავადების — „ფალეკოს“ წინააღმდეგ ბრძოლის სამეცნიერო შესწავლაზე.

ეეეკარმა სიკეთლმა შეაწვიტა თვალსაჩინო სპეციალისტის, გულანსმიერი ამხანაგის სიცოცხლე, რომელიც დიდოდაგი მუშაობით მშობლიური მეცნიერებისათვის უკანგარო სამსახურის მაგალითს წარმოადგენდა.

სოფლის მეურნეობის მუშაკთა ხსოვნაში ძედამ ეოცხალი იქნება ენთუზიასტი მეცნიერის, ჩვენი დიდი სამშობლოს ეეშმარტი პატრიოტის ლ. ი. წერეთლის ნათელი სახე.

ზ. კეცხოველი, გ. ალავიძე, მ. ბუჯიაშვილი, ნ. კეცხოველი, ტ. კვარაცხელია, ვ. ბულისაშვილი, ი. ლომოური, დ. დეკანოიდეეანი, ლ. ყანჩაველი, მ. საბაშვილი, ე. კალანდაძე, შ. ჭანიშვილი, გ. რცხილაძე, ს. ქარუმიძე, ი. ბათიაშვილი, ნ. ალეკსიძე, ნ. მაზარაძე, ბ. ვარდოსანიძე, პ. ოდიშარია, გ. ბილანიშვილი, ე. ბაზრაძე, ე. ერისთავი, ნ. თოლაშვილი, შ. სუპატაშვილი, ნ. ჭანტურია, გ. ჯაფარიძე, შ. ცერეცვაძე, ი. შიშიაშვილი, ნ. ისარგაშვილი, ქ. ბიკაშვილი, ნ. ხაყვარელიძე, თ. ფარიძე, ე. ცერეცვაძე, ი. შიშიაშვილი, ა. ანანიაძე, ზ. ხაჯიბეილი, შ. მარიანაშვილი.

ოთხშაბათს, 29 ივნისს, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია იწვევს საკუთარ კორესპონდენტთა რესპუბლიკურ თათბირს.

საკუთარ კორესპონდენტთა დასწრება სავალდებულოა.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

**წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1949-1950 სასწავლო წელს შემდეგ სპეციალობებზე:**

1. რუსული ლიტერატურაში, 2. პედაგოგიკაში, 3. ქართულ ენაში, 4. ქართულ ლიტერატურაში, 5. ლოგიკაში.

ასპირანტურაში მიიღებიან 37 წელზე ნაკლები ასაკის მოქალაქენი, რომელთაც აქვთ უმაღლესი განათლება, დაუფლებული არიან ქართულ და რუსულ ენებს და ამყარებენ საშეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური მუშაობის უნარს.

ასპირანტურაში შესვლის მსურველებმა ა. წ. 5 სექტემბრამდე ინსტიტუტის სასწავლო ნაწილში უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. განცხადება, 2. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომი, 3. ავტობიოგრაფია, 4. კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, 5. დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, 6. ცნობა სამმედიცინო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ, 7. სამეცნიერო ნაშრომები, ხოლო თუ ასეთი არა აქვთ, მაშინ წერილობითი რეფერატი სპეციალობის მიხედვით კითხვრის მიერ დადგენილი ან შემამზეკლოვნის მიერ შერჩეულ თემაზე, 8. ორი ფოტოსურათი, 9. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ. ასპირანტურაში შემსვლელნი ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს:

1. მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში, 2. სპეციალურ საგაწვრთნელ, 3. ერთ-ერთი უცხო ენაში (ინგლისური, ფრანგული ან გერმანული).

მისაღები გამოცდები იწარმოებს 5-დან 15 სექტემბრამდე. ქ. ქუთაისი, კიროვის ქ. № 55, ტელეფონი № 1-03, 6-80.

**საქართველოს სამეცნიერო-საკვლევი ვეტერინარული ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:**

I. მიკრობიოლოგიის და ბრუცელოზის შემსწავლელი ლაბორატორია

1) ლაბორატორიის გამგე — ვეტ. მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი — 1.

2) უფროსი მეცნიერი მუშაკი. ვეტ. მეცნიერებათა კანდიდატი — 1.

II. ფურცლუჭა საქონლის დაავადებათა შემსწავლელი ლაბორატორია

3) უფროსი მეცნიერი მუშაკი, ვეტ. მეცნიერებათა კანდიდატი ლეონის დაავადების სპეციალობით — 1.

4) უმცროსი მეცნიერი მუშაკი მეფრინველეობის დაავადების სპეციალობით — 1.

III. ვეტერინარული ჰიგიენის ლაბორატორია

5) ლაბორატორიის გამგე, ვეტ. მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი — 1.

6) უმცროსი მეცნიერი მუშაკი — 1.

IV. ფუტკრის დაავადებათა შემსწავლელი ლაბორატორია

7) უფროსი მეცნიერი მუშაკი — 1

V. ჰელმინთოლოგიური ლაბორატორია

8) უფროსი მეცნიერი მუშაკი, ვეტ. მეცნიერებათა კანდიდატი — 1.

9) უმცროსი მეცნიერი მუშაკი — 1.

VI. ტოქსიკოლოგიური ლაბორატორია

10) უმცროსი მეცნიერი მუშაკი — 1.

VII. ბიოქიმიური ლაბორატორია

11) უმცროსი მეცნიერი მუშაკი — 1.

VIII. ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია

12) უმცროსი მეცნიერი მუშაკი — 1.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა ვეტერინარმა ექიმმა დირექტორის სახელზე უნდა წარმოადგინოს განცხადება შემდეგი საბუთებით: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების მოწმობის ნოტარიულად შემოწმებული ასლები, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების დამტკიცების დოკუმენტების ნოტარიულად შემოწმებული ასლები, სამმედიცინო და პოლიტიკური და ხასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, სამეცნიერო ნაშრომების სია და ფოტოსურათი.

უფროს მეცნიერ მუშაკთათვის ვეტერინარული ექიმობის 3 წლის სტაჟი საჭიროდაა.

კონკურსის ვადა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა. განცხადება მიიღება დირექციაში (თბილისი, მარის ქ. № 17) ტელეფონი № 3-52-47.

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი** აცხადებს, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 7 ივლისს, დღის 3 საათზე, ინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. № 16) მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვამენ დისერტაციას:

ზოგადი ჰიგიენის კათედრის ასისტენტი **ნინო ნესტორის ასული დაშნიანი** თემაზე: **„მასალები წნილების C ვიტამინური აქტივობის შესწავლისათვის“.**

ოფიციალური ოპონენტები მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ი. ფაილიძე** და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **ი. ბერულავა.**

საქართველოს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ჰიგიენის კათედრის ასისტენტი **იოსეფ ივანეს-ძე შენგელია** თემაზე **„Влияние на органолептические свойства воды различных веществ, встречающихся в промышленных сточных водах“.**

ოფიციალური ოპონენტები საკავშირო სამეცნიერო აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, მედიცინის დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი **გ. ნათაძე** და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, დოცენტი **ვ. კაცარაძე.**

მსურველი შეუძლიათ გაეცნონ შრომებს სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 2).

**სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სამმართველოს თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმი** აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1949-50 სასწავლო წლისათვის.

ტექნიკუმს აქვს ორი სექტორი — ქართული და რუსული სამი განყოფილებით.

1. ტოპოგრაფიული — ამზადებს ტექნიკოს-ტოპოგრაფებს აეროფოტოტოპოგრაფიულ სამუშაოთა საწარმოებლად და ტექნიკოს-გეოდეზისტებს გეოდეზიური აგეგმვის საფუძვლების შესაქმნელად.

2. კარტოგრაფიული — ამზადებს ტექნიკოს-კარტოგრაფებს, რეკლამის შემდგენლებს და გამფორმებელებს.

3. საგზაო-სამშენებლო — ამზადებს საგზაო მშენებლობის და გზის ყოველგვარ სინეგნერო ნაგებობათა ტექნიკოსებს.

ჰირველ კურსზე მიიღებიან მოქალაქენი 15-დან 30 წლამდე, რომელთაც დამთავრებული აქვთ ორსაფეხური საშუალო სკოლა.

ფრანდოსნენი მიიღებიან უფამოცდოდ, დანარჩენები ამბრენენ გამოცდებს შემდეგ საგნებში: 1. მათემატიკაში, 2. სსრ კავშირის კონსტიტუციაში, 3. რუსულ ენაში და 4. შუბალეთ ენაში. ტექნიკუმში შემსვლელთათვის გამსნილი აქვეა უფასო მოსამზადებელი ჯგუფები 1 ივლისიდან. 10 კლასდამთავრებულნი მიიღებიან ამავე განყოფილებებზე სწავლების შემოკლებული ვადით.

განცხადებები მიიღება 15 აგვისტომდე. გამოცდები დაიწყება 20 აგვისტოს. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით და სტიპენდიით საერთო წესით.

განცხადება მიიღება დირექტორის სახელზე პირადად ან ფოსტით. ცნობების გაცემა და განცხადებების მიღება ყოველდღე 9 საათიდან 17 საათამდე, გარდა გამოსასვლელი დღეებისა. მისამართი: თბილისი, მარის ქ. № 27, ტელეფონი 3-20-88.

**საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს თბილისის ავტომშენებელთა ქარხანა** აცხადებს ყველა საშარმო-დაწესებულებათა, ქარხნებსა, ფაბრიკებს, კოლეტიურნეობებსა და სამეურნეოებს ხელმძღვანელებს, რომ ქარხანა იღებს კასტელური შეკვეთებისათვის სპარეო ინტერნაციონალი „გაზ-31“ და „გაზ-63“ ან შეკვეთებს ამავე მარკის ძანქანათა აკუმულატორების კასტალელ რაოდენობით შეკვეთებისათვის.

ყველა ორგანიზაცია, რომელსაც ჩაბარებული აქვს შესაკეთებელი ავტომანქანები და მიეცემული აქვს შესაკეთებელ აკუმულატორები, ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოცხადდეს ალნიშნულის მისაღებად.

ცნობისათვის. მისამართი: თბილისი, ლერმონტოვ, მექანიზაციის ქუჩა № 1. თბილისის ავტომშენებელი ქარხნის გასაღების განყოფილება. ტელეფონი № 3-00-61.

## თეატრებში

| | |
|---|---|
| რუსთაველის სახელობის თეატრი (ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობაში) | 24-VI „იმათ მხარეში“<br>25-VI „ჩაქირული ქვები“<br>26-VI „ეჩა ეჩარდია“ |
| მარჯანიშვილის სახელობის | 24-VI „სოფლის საამო საღამოები“ 11, 12, 27 ან. 10 წარმ.<br>25-VI „სოფლის საამო საღამოები“ 14, 19 22 ან 10 წარმ. |
| მუსიკალური კომედიის | 24-VI „მზის დაბნელება“ უკანასკნელად ამ სეზონში<br>25-VI „თბილისის ცის ქვეშ“ |

უნივერსიტეტის ამბანაგები ლ. კალანდაძე, ქ. ქომეთიანი, ნ. მახარაძე, ვ. სეპასტაშვილი, ბ. ვარდოსანიძე, ე. ასათიანი, ქ. ყანჩაველი, მ. ქელიძე, ე. ზოლოტარიოვი, მ. ვახვახიშვილი, ი. ჩხეკანელი, გ. მაგალოდიშვილი ილიას ლიტერატურულ ალიფდმილი **იასონის ასულ წერეთლის** გარდაცვლებას.

თბილისის ეიკთა მე-19 საშუალო სკოლის პედაგოგიური თანამგრძნობის უცხადებს ე. ანანიაშვილ-ძიძიგურს მისი მამის **თომას** გარდაცვლების გამო.

ნინო კვიდა, ნინო, დელა ხუტეტიები, ციცა, ნუცა თოფანიძეები, ჭიტა, ეოსანი ფაღავები, ლიდა, ანდრო მაჭავარიანები, ეიტერ გაბუნია, კაკური ფარფალავა ილიას **ლიდიმილა წერეთელი-ხუბუტაის** გარდაცვალებას.

მეეფლე მარიამ, შვილება მაყვალა და ციცო ციბაძეები, ძმა ვანო ეფრემიძე ოჯახით ეეწუვიან, რომ 26-VI, 5 ს. ეაკის სასაფლაოზე დანშნულია **გიორგი ხარიტონის-ძე ციბარიძის** პანაშვიდი.

თ. გოგოლაძე, ი. ნეფარიძე, ა. გონჩარო